პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1935 წ. მაისი
პარიზი

№ 53

1935 — MAI
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მაისი

ჩვენს ირგვლივ ყველაფერი იცვლება, იქსვება ახალ-ახალ მოვლენათა ქსელი, ხდება გადაჯგუფებ-გადმოჯგუფება, მთელი რიგი ისტორიული გადასხვაფერებისა.

არ იცვლება მხოლოდ ერთი გარემოება, არ იცვლება 26 მაისი!

ჟამი ჟამს მისდევს, წელი წელს; 26 მაისი კი რჩება იქ სადაც იყო, უცვლელათ, შეუდრკელათ, დაუხევლათ და ამაყათ.

და ეს იმიტომ რომ მისი ძირი, მისი ფესვები ღრმათ არის გადგმული ქართველი ერის სულში და გულში. მან სამუდამოთ დაიპყრო მთელი ხალხი. მან აშკარათ დაანახვა მას მისი სავალი გზა, მისი სასიცოცხლო კარები, მისი მიჯნა სიკვდილის და სიცოცხლის შორის მკაფიოთ გავლებული.

ჩვენ მივიღეთ თვალსაჩინო გაკვეთილი, სამუდამო, დაუვიწყარი, სიხარულით და სიმწარით შეზავებული, ამაღლებით და დაქანებით გარემოცული; განვლეთ ბჟენი სიკვდილი'), შევაღეთ კარნი სიცოცხლის, ვიპკურეთ წყაროთი უკვდავების; ერი წელში გაიმართა, თავის თავის იმედი მიეცა, სულიერი აღორძინება იგემა, დარწმუნდა რომ შეუძლია იყოს თავის თავის ბატონი და პატრონი. განქრა მასში ძველი უიმედობა, თავისთავის დამცირება, სხვის კარებზე ყურება, სხვის სამოწყალოთ გადაქცევა. ის აღარ ეხვეწება ძველებურათ გადამთიელთ—მიიღეთ ჩემი თავისუფლება, ჩემი ბედი და უბედობა. პირიქით მან აღმართა დროშა 26 მაისის, დროშა სრული წლოვანის, თავის სვე-ბედის თვითგამგებლობის, ყველა უფლებათა დაპატრონების.

26 მაის ქართველობა დაეპატრონა თავის თავს როგორც ერთი მთლიანი ერი. კუთხური განდგომა, თემური ქიშპობა, ცალ-ცალკე ლტოლვა და დაბნეულობა გაქრა 26 მაისში და გამოიკვეთა ერთი ხალხი, ჭირში და ლხინში განუყრელი.

აი ეს განძი, დიდი მორალური განძი, მოგვცა 26 მაისმა და მის ემბაზში მოინათლა მთელი ხალხი.

მტერმა მოგვტაცა ეს დიდი დღე, დაგვაქანა უკან, მონობისაკან, გასტეხა ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი წყობილება, ჩვენი თავისუფლება, მაგრამ ვერ მოგვტაცა უკვე მიღებული განძი, ვერ გასტეხა ჩვენი მორალი, ვერ წაშალა ჩვენი მთლიანობა, ჩვენი ეროვნული ერთობა და ჩვენი გადაწყვეტილება—ვიყოთ თავისუფალი.

26 მაისი ბუდობს თვითეული ქართველის გულში; ის მას უგალობს, ის მას ეთაყვანება. ის აღარ ფრიალებს საქართველოში გამოჩენილათ, ის ფრიალებს გამოუჩენელათ ყველა ქართველში. აი ეს მორალური ძალა, ეს მორალური სიმაგრე და ურყევი იდეალი არის ის აუღებელი კლდე, რომელსაც შეასკდება მტერთა იერიშები. მისი აღება შეუძლებელია, ის თავდებია, უტყუარი თავდებია, მისი საბოლაოთ გამარჯვების.

26 მაისი არ არის ჩვენი წასული, განვლილი ისტორიული ეტაპი; ის ჩვენი აწმყოა, ჩვენი მომავალია, ჩვენი წინამძღვარი და გზის მანათობელია. ის ცოცხალი, ცხოველმყოფელი დაუშრეტელი წყაროა, რომელიც ჩუხჩუხებს ქართველის ძარღვებში, ატოკებს მის გულს, აცემებს მის მაჯას და ქმნის მისგან თავდადებულ მებრძოლს.

26 მაის ემსახურება მხოლოდ ის, ვინც დგას მის ისტორიულ კალაპოტში, ვისაც ესმის მისი შინაარსი და წვდება მის სიღრმეს. ეს დღე არის დაგვირგვინება ქართველი ხალხის ბრძოლის ორი ეტაპის—პოლიტიკურის და ნაციონალურის. ამ დღეს თავი მოიყარა ორმა ტალღამ: ხალხის და ერის სუვერენობამ და მით ის იქცა ხალხურ და ეროვნულ სამარადისო დღესასწაულათ. ამ რგოლის გარღვევა, ერთის ცნობა, მეორის უკუგდება, უარისყოფაა სავსებით 26 მაისის, ამოვარდნაა ძირბუდიანათ ისტორიული კალაპოტიდან. ეს დღე ერთია, მთლიანია, განუყოფელია და მხოლოდ ამ მთლიანობის ცნობით შევდივართ საქართველოს სინამდვილეში, ქართველი ხალხის სულში. სხვა გზა, სხვა ბილიკი მისკენ მიმავალი არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს სხვა დროშა მტრის წინაალმდეგ აღმართული და მის ქვეშ ერის თავის მომყრელი.

ქართველ ხალხს სურს იყოს დამოუკიდებელი, ვინაიდან მას სურს იყოს სუვერენი.

ქართველ ხალხს სურს იყოს სუვერენი, ვინაიდან მას სურს იყოს დამოუკიდებელი.

ეს ორი მომენტი ერთი მეორის გზადახიდია, ერთიმეორისაგან განუყრელია. 26 მაისი ამ ერთობის ამსახველია, ამ მომენტების შემდუღებელია.

სწორეთ ამით არის ეს დღე ძლიერი, მოურეველი. ის ატარებს ხალხის გულისთქმას, მის სულისკვეთებას და მიმდინარეობას.

საერთაშორისო ურთიერთობა ცვალებადია, დღეს ერთი მოვა, ხვალ მეორე, დღეს ერთი ზარი ჩამორეკს, ხვალ მეორე. ამ ისტორიულ ზვირთთა სრბოლაში, ამ არეულ-დარეულ ხანაში ქართველი ერის პატარა ნავი გასცურავს სამშვიდობოსაკენ მხოლოდ ერთი საშუალებით: მისი მთლიანობით, მისი მორალის შენახვით, მისი 26 მაისით...

ნ. ჟორდანია,



პიერ რენოდელი
(1871—1935)

პირველ აპრილს ღამით ქალაქ სოლერში, ხმელეთთა შუა ზღვის ერთ კუნძულზე, სადაც ის საექიმოდ იმყოფებოდა, გარდაიცვალა ქართველების და საქართველოს საუკეთესო მეგობარი პიერ რენოდელი.

რენოდელის სიკვდილი უთუოდ საყოველთაო გლოვას და ტკივილებს გამოიწვევს. მის ასეთ უდროოთ დაკარგვას (ის მხოლოთ 63 წლის იყო) ღრმათ იგრძნობს და განიცდის ყველა გულწრფელი სოციალისტი და დემოკრატი არა მხოლოთ საფრანგეთში და ევროპაში, არამედ მთელი ქვეყნის სხვა კუთხეებშიდაც.

საფრანგეთის სოციალიზმი რენოდელში კარგავს ჟან ჟორესის აზრების და ტრადიციების საუკეთესო და ურყევ დამცველს, მის ერდგულ მოწაფეს და მიმდევარს. რენოდელი წლობით იყო ჟორესის უახლოესი თანამშრომელი და ბოლომდის დარჩა მისი მემკვიდრეობის გამგრძელებელი.

რენოდელის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, გამბედაობა და თავის თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარი ყველაზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. მისი სისპეტაკე, პირდაპირობა და პატიოსნება ხომ ცნობილი იყო და ამ მხრივ მას საყოველთაო ნდობა და პატივისცემა ქონდა.

ინტერნაციონალი კარგავს რენოდელში დიდ პიროვნებას, ნათელი და აქტიური გონების მქონეს, გულწრფელ სოციალისტს, დემოკრატს და ინტერნაციონალისტს, ადამიანს დიდი პოლიტიკური და მორალური თვისებებით აღჭურვილს, სოციალური სამართლიანობის იდეალისთვის მუდამ მედგარ მებრძოლს.

განსაკუთრებით აუნაზღაურებელია რენოდელის დაკარგვა ჩვენთვის, ქართველებისთვის, პატარა საქართველოსთვის, რომლის უფლებებს და ინტერესებს ის თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იცავდა.

რენოდელი ჩვენი დიდი მეგობარი იყო, ჩვენ გვიცავდა, როცა საქართველო თავისუფალი, დამოუკიდებელი და ბედნიერი იყო.

ჯერ კიდევ, სანამ რენოდელი 1920 წელში საქართველოს ინახულებდა, თითქმის მთელი ორი წლის განმავლობაში ის მუდმივათ და დაუღალავათ ყოველივე მხრივ ეხმარებოდა საქართველოს დელეგაციას ვერსალის კონფერენციაზე და თავისი რჩევით, თუ ნაცნობობის და კავშირების მოპოებით მას მუშაობას უადვილებდა.

1920 წლის შემოდგომაზე ინტერნაციონალის სხვა წევრებთან ერთათ რენოდელი საქართველოს ესტუმრა და მის მდგომარეობას და ცხოვრებას ახლო გაეცნო. უკან დაბრუნებისას მან დიდი და ენერგიული მუშაობა გასწია პრესაში, თუ ოფიციალურ წრეებში საქართველოს საკითხის გასაცნობათ და ჩვენი ქვეყნის იურიდიულათ ცნობის სასარგებლოთ და მან ამ მხრივ დიდი როლიც ითამაშა.

როცა საქართველოს მტერი შემოესია და ის საბჭოთა ჯარებმა დაიპყრეს, რენოდელი გახდა თავდადებული დამცველი ამ პატარა ჩაგრულ ერისა. ამის შემდეგ ის მუდამ სასტიკ პროტესტს აცხადებდა საბჭოთა რუსეთის ასეთი ვერაგული მოქმედების წინაალმდეგ თავის წერილებში და მჭერმეტყველ სიტყვებში საფრანგეთში, თუ სოციალისტურ ინტერნაციონალში. გადახედეთ იმ დროის «La Vie Socialiste»-ის ნომრებს, რომელსაც რენოდელი რედაქტორობდა, და თქვენ იქ ნახავთ საქართველოს შესახებ ყოველგვარ ცნობებს, მიღებულს პირდაპირ საქართველოდან, თუ ევროპის სხვა ქვეყნებიდან.

რენოდელი იყო ჩვენი დიდი მეგობარი და დამცველი არა მხოლოდ მაშინ, როცა საქართველო იყო თავისუფალი, დამოუკიდებელი და ბედნიერი, არამედ და განსაკუთრებით მაშინაც, როცა ჩვენი ქვეყანა გასაჭირში და ცუდ დღეებში ჩავარდა. აი რა წერილს იწერებოდა რენოდელი 1924 წლის 16 ივნისს სტამბოლში პასუხათ საქ. სოც.-დემოკრატიული პარტიის ცეკასადმი, რომელიც მას პირადათ და მის პარტიას ამ წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავდა:

«ძვირფასო გვარჯალაძევ, გთხოვ გადასცეთ ჩვენ ქართველ მეგობრებს, რომ ყველა მოლოცვათა შორის ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ის მოლოცვა, რომელიც მათგან თქვენი საშუალებით მივიღე.

მე მინდა მათ უთხრა და ვისურვო დღეს, რომ ჩემი პარტიის და ჩემ პირად საარჩევნო გამარჯვებასთან ბოლო მოღებოდეს მათ ტანჯვა-წვალებას.

ცხადია, ყველაფერი ჩვენგან არ არის დამოკიდებული. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია შეგპირდეთ თქვენ, რომ არ გავუშვებთ შემთხვევას, როცა ეს საჭირო იქნება, პარლამენტის ტრიბუნიდან ხმა ავიმაღლოთ და დავგმოთ თქვენი მჩაგვრელნი.

რა ფერისაც არ უნდა იყოს იმპერიალიზმი, ჩვენ მას სასტიკათ შევებრძოლებით, რადგანაც მას შეუძლია ჩვენ თავზე დაგვატეხოს ომის საშინელებანი, კაცობრიობას კი აღარ სურს ხელახლათ ასეთი რამ იხილოს.

კიდევ ერთხელ გთხოვთ ჩემ მაგიერ მადლობა გადასცეთ საქარ. სოც.-დემოკრატიის ცენტრალურ კომიტეტს და უთხრათ მათ, რომ მე ვრჩები მათი მეგობარი და ერთგული ამ უბედურების ხანაში, როგორც ვიყავი მეგობარი სიხარულის და გამარჯვების დღეებში»

რენოდელმა პირნათლათ შეასრულა ეს მისი დაპირება, ის მუდამ დარჩა საქართველოს და ქართველების დამცველი და ერთგული მეგობარი.

1924 წლის 3 ივლისს რენოდელის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ მაშინდელ მთავრობის თავმჯდომარეს—ჰერიოს საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურათ ცნობის საკითხის გამო გადასცა წერილი, რომელშიდაც საფრანგეთის სოციალისტური პარტია მთავრობას წინადადებას აძლევდა საბჭოების ცნობასთან ერთათ მას საქართველოს შესახებ რეზერვები გაეკეთებია და საქართველოს იურიდიული ცნობა უკან არ წაეღო. მთელი ამ საქმის თვალყურის სადევნებლათ და მოსაგვარებლათ ფრაქციამ ქართული საკითხის სპეცი—რენოდელი აირჩია. ჩვენ ვიცით, რომ რენოდელმა მისდამი ეს დავალება საქართველოს სასარგებლოთ დააგვირგვინა.

როცა ქართველ ხალხმა, ბოლშევიკების ბარბაროსულ რეჟიმით სასოწარკვეთილებამდე მისულმა, ამდენი ტანჯვა წვალება ვერ აიტანა, მან იარაღს მიმართა და საბჭოთა ხელისუფლებას აუჯანყდა. ამ უთანასწორო ბრძოლაში პატარა საქართველო დამარცხდა და ის სისხლში იქნა ჩახრჩობილი. და აქაც რენოდელმა, როგორც წინეთ ყოველთვის, აღიმაღლა თავისი მძლავრი ხმა და სასტიკათ დაგმო ბოლშევიკების მხეცური საქციელი. ამ ამბების გამო მან პარლამენტში წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც ჰპოვა უდიდესი თანაგრძნობა და გამოხმაურება, როგორც საფრანგეთში, ისე ევროპის ყველა სხვა ქვეყნებში. იმ დროიდან მოკიდებული რენოდელის სიცოცხლის უკანასკნელ ხანამდე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომელიც კი ეხებოდა საქართველოს საკითხს, რომ მასში თავის რჩევით, თუ დახმარებით რენოდელს მონაწილეობა არ მიეღოს. ყველა ის რეზოლიუციები, რომელიც სოციალისტურ ინტერნაციონალს საქართველოს სასარგებლოთ აქვს გამოტანილი რენოდელის აქტიური მონაწილეობით, თუ ინიციატივით არის მიღებული. ოფიციალურ, თუ არა ოფიციალურ წრეებში ის ხომ მუდამ ჩვენ საქმეებზე ტრიალებდა. ჩვენზე ზრუნვა რენოდელმა არ დაიზარა მაშინაც კი, როცა ის უკანასკნელ ხანებში მძიმე ავათმყოფი იყო და ექიმების მიერ მას მუშაობა აკრძალული ქონდა.

ჩვენ ის ვინახულეთ სოლერში საქიმოთ გამგზავრების ორი კვირის წინ. ჩვენ მან გამოგვკითხა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის და ჩვენი ემიგრანტების ყოფა-ცხოვრების შესახებ. როცა გაეცნო ყველა საკითხებს, ის ნოე ჟორდანიას სხვათა შორის შეპირდა, რომ ის ოფიციალურ წრეებში მიიღებდა შესაფერ ზომებს, რათა საფრანგეთის ადმინისტრაციის მიერ გაცემულ ქაღალდებში ქართველებს ეწოდოს «ქართველი ლტოლვილები» და არ იყოს ისეთი რამ სახელწოდება, რომელიც მათ ასე თუ ისე აკავშირებს რუს გადმოხვეწილებთან. რენოდელმა ეს თავისი უკანასკნელი დაპირებაც ისე პირნათლათ შეასრულა, როგორც 14 წლის განმავლობაში ყველა წინანდელი დაპირებანი. ამის უტყუარი საბუთია საფრანგეთის ოფიციალური წრეების განკარგულებანი ქართველ ლტოლვილების შესახებ ამ ბოლო ხანებში.

14 წლის განმავლობაში რენოდელი იყო საქართველოს არა ოფიციალური ელჩი, რომელიც საქართველოს საკითხს თავგამოდებით თავს ევლებოდა და უვლიდა. საკვირველია, რომ უცხოელმა ჩვენი საქმე ასე შეიყვარა, ის თავისათ გაიხადა და მის სამსახურს ამდენი ძალა და ღონე შეალია. მაგრამ რენოდელი ხომ გამგრძელებელი იყო იმ დიდ ფრანგ მოღვაწეების ტრადიციებისა, რომელნიც მუდამ და ყოველგან ერთა უფლებებს და თავისუფლებას იცავდენ. და რენოდელიც მუდამ დარჩა ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობარი და დაუღალავი დამცველი. ამიტომაცაა, რომ საქართველოში, თუ ქართველ ემიგრანტთა შორის ყველა სხვა უცხოელთა შორის რენოდელი ყველაზე უფრო ცნობილი და პოპულიარული იყო.

ქართველი ერი, საქართველოს სოციალდემოკრატია მუდამ იქნება მისი მადლიერი ყველაფერ იმისთვის, რაც მას საქართველოს და ქართველებისათვის გაუკეთებია. მისი ხსოვნა ჩვენში წარუხოცელი დარჩება.

რენოდელის დასაფლავება

7 აპრილს რენოდელი დაასაფლავეს ქალაქ ტულონში. მისი სურვილი იყო მას სამუდამოთ განესვენა და დარჩენილიყო ვარის დეპარტამენტში, რომლის დეპუტატათ ის, ცოტა გამოკლებით, 1914 წლიდან ითვლებოდა და სადაც მას ამდენი უმუშავნია და უმოღვაწნია.

ხალხი არ ცდება, როცა ის თავის მოღვაწეებს აფასებს. რენოდელის წონა და ფასი, ბრძოლით სავსე მთელი მისი ლამაზი ცხოვრება უკვე წინედაც ცნობილი იყო. მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდენ დონე იმ ნაზი დამოკიდებულებისა და გულწრფელი პატივისცემისა, რომელიც მისდამი მშრომელთ და ვარის დეპარტამენტის მცხოვრებთ გულში და სულში ღრმათ გამჯდარი ქონიათ. და აი ესეც ნათლათ და სპონტანეურათ გამოირკვა მისი დასაფლავების დღეს.

გაზაფხულის მშვენიერი, მზით სავსე კვირა დილაა, როცა ყველაფერი უნდა ხარობდეს, ხმაურობდეს, მოძრაობდეს. მაგრამ მთელი ტულონი ამ დღეს მგლოვიარობას მოუცვია.

მიემგზავრები ქალაქს გარეთ-რიგუმელისაკენ, სადაც რენოდელის ცხედარი იმყოფება. მთელი გზის გასწვრივ, ორივე ნაპირათ აუარებელი ხალხია ჩამწკრივებული. კაცები, ქალები, ბავშვები დაღვრემილი და მოწყენილი სახეებით, ყველას დიდი აღელვება ეტყობა. სამარისებური სიჩუმე და სიწყნარეა. ყველა ელის სამგლოვიარო პროცესიის ჩამოვლას და ემზადებიან უკანასკნელათ თავი მოწიწებით მოიხარონ მის წინაშე, ვინც მუდამ ღირსეულათ იდგა თავის პოსტზე და ვისი საზოგადოებრივი, თუ პირადი ცხოვრება ყველასათვის სამაგალითო და მისაბაძი გახდა.

აი სულ უბრალო სახლი, რომელშიდაც ტულონში ყოფნის დროს რენოდელი ცხოვრობდა და ეხლა კი ის იქ ასვენია. ამ სახლის წინ ფართე მინდორი გატენილია რენოდელის მეგობრებით, მისი ძველი პოლიტიკური თანამებრძოლნით და ახალგაზდა მოწაფეებით. მათი დანაკლისი ორმაგია: ისინი სამუდამოთ ჰკარგავენ მათ საუკეთესო ხელმძღვანელს და მუდამ ერთგულ მეგობარს.

მცხედრის ირგვლივ მდგომ ნათესავ და მეგობართა შორის გულამოსკვნილი ხმამაღალი ქვითინია. სახლის გარეთ მყოფნიც საერთო მწუხარებას მოუცავს და ყველას თვალები ცრემლით სავსე აქვთ.

დანიშნულ დროს პროცესიაც დაიძრა. მის სათავეში ჩამწკრივებულია გვირგვინები, რომელიც ხელით მიაქვთ. მათი რიცხვი ასზე მეტია. თვითოეულ რიგში ოთხი გვირგვინია. პირველ რიგში დეპუტატთა პალატის, ავიაციის მინისტრის და «La Vie Socialiste» ის გვირგვინებთან ერთათ არის გვირგვინი წარწერით—«დიდ მეგობარს პიერ რენოდელს მადლიერ საქართველოდან». რენოდელის ქვრივმა პირადათ ისურვა, რომ ქართველების გვირგვინი პირველ რიგში მოეთავსებიათ, მიცვალებულს ქართველები ძლიერ უყვარდაო.

რენოდელის ბინიდან სასაფლაომდე 2 კილომეტრია. მთელი ეს მანძილი ხალხით არის გაჭედილი. მთელი ტულონი გარეთ არის. მოსულან აგრეთვე ახლო, თუ შორეულ ადგილებიდან მატარებლებით, ომნიბუსებით და ოტობუსებით, კერძო ეტლებით. ყველას ყვავილები აქვთ ხელში. ბავშვებს, რომელთაც ყვავილები ვერ უშოვიათ, ლამაზი ფოთლიანი შტოები მოუტანიათ. ყველანი ცხედრიან ფურგონს ყვავილებს წინ უყრიან, ან და მას მთელი გზის მანძილზე სახლების მაღლა სართულებიდან ვარდებს—მწვანეულობას აყრიან. ამით რენოდელს უკანასკნელათ ეთხოვებიან.

სასაფლაოს შესავალთან პროცესია შეჩერდა. მარსელ დეა ტრიბუნაზე ავიდა და განაცხადა: რენოდელის სურვილი იყო, რომ მის დასაფლავებას არავითარი ოფიციალური ხასიათი არ მისცემოდა და სიტყვებსაც ადგილი არ ქონოდა. მე მხოლოთ მინდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სახელით დიდ რესპუბლიკანელს, დიდ სოციალისტს და ჩვენი ქვეყნის დიდ მოამაგეს და მოსამსახურეს უდიდესი მადლობით და პატივისცემით მივმართო, მის ოჯახობას კი უღრმესი სამძიმარი და თანაგრძნობა გამოუცხადოო.

ერთი წუთი საერთო სიჩუმის შემდეგ დამსწრე საზოგადოება რიგ-რიგობით რენოდელის ღია საფლავისაკენ მიისწრაფვის, იქ კუბოზე ყვავილებს აყრის და ჩაფიქრებული და დაღვრემილი უკან ბრუნდება.

რენოდელის დასაფლავებას დაესწრო კ. გვარჯალაძე.

კ. გ.

რენოდელის ქვრივს გაეგზავნა შემდეგი დეპეშები:

ღრმათ დამამწუხრა დიდი ფრანგის რენოდელის დაკარგვამ, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე გმირულათ იბრძოდა სოციალური სამართლიანობის და თავისუფლებისათვის. განსაკუთრებული ტკივილებით იგრძნობს ამ დაკარგვას მთელი ქართველი ერი, რომლის ერთგული მეგობარი და დაუღალავი დამცველი ის უკანასკნელ მომენტამდე დარჩა.

ნ. ჟორდანია.

—

საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის სახელით ულრმეს თანაგრძნობას გიცხადებთ ჩვენი დიდი მეგობრის რენოდელის დაკარგვის გამო, რომელიც ჩვენთან იყო და გვიცავდა არა მხოლოთ მაშინ, როცა საქართველო ბედნიერი და თავისუფალი იყო, არამედ, და განსაკუთრებით, მაშინაც როცა ის ცუდ და გასაჭირ დღეებში ჩავარდა.

კ. გვარჯალაძე.

—

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის სახელით გიცხადებთ უგულითადეს სამძიმარს თქვენი ძვირფასი მეუღლის რენოდელის გარდაცვალების გამო. ჩვენ მწარედ ვგლოვობთ ადამიანის დაკარგვას, რომელიც სიკვდილამდე იყო გულწრფელი და ერთგული მეგობარი წამებული საქართველოსი.

ხ. ფირცხალავა.

—

დეპეშები გაგზავნეს აგრეთვე საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის პარიზის ორგანიზაციამ და ქართული კოლონიის დავმჯდომარემ.

◆

26 მაისს

შენი ხსენება არი მშვენება,
როგორც ლაჟვარდში მთვარის ღიმილი,
როგორც მზის ღელვა, თავს რო ევლება
ჩვენს მთებს და ველებს, ლხენით მოსილი!..

—

როცა გარემოს ფარჩა შემოსავს,
შარავანდედათ დგება მაისი,
გულის სალბუნათ ზარებს ჩაჰმოკრავს
გაბრწყინვებული ჩვენი თფილისი!..

—

როგორც სასახლის გულში ლამპარი,
ლაღობს დარბაზი მაისის ფერათ,
და საქართველო, კვარცხლბეკზე მდგარი,
ალამს გადასცემს ჭალარა ბელადს!..

—

იყო მონობა წესათ გოდების,
თავისუფლებას ვუმღერდით ჰანგებს,
თავზე ვაყრიდით ტყვიას განდევნის,
დარიალიდან შემოჭრილ დათვებს!..

—

გავშალეთ დროშა ერის და რწმენის,
ალსდგა დიდება—ჰიმნი მშობლური,
ეფინებოდა გარემოს ლხენით,
რიონის ყეფა, მტკვრის დუდუნი!..

—

და დღეს სხვა არი ეს მოგონება,
ერს რომ გარედან გლოვა სწვევია,
საქართველოში ისევ გოდება,
ისევ მტრის ურდო შემოსევია!..

—

ვიცით, ყორანი ადრე მოფრინდა,
ადრე დაგვჩხავლა ცნობა საზარი,
რომ წითელ დათვებს ჩრდილოეთიდან,
აქ შულავერმა გაუღო კარი!..

—

დასწყევლა დედამ მოღალატენი,
ულირს შვილების დასწყევლა ლხინი!.
—ვით ჯულაშვილი—ერის გამცემი
და კომუნისტის გამხმარი ტვინი!

—

და დღეს რო მოძმეს გლოვა სწვევია,
დასცურავს სისხლში დროშა ქართული!
დგას საქართველო რკინის სვეტივით,
მტრის წინაამდეგ ბრძოლათ გასული!..

—

შენი ხსენება არი შვენება,
როგორც ლაჟვარდში მთვარის ღიმილი,
როგორც მზის ღელვა, თავს რო ევლება
ჩვენს მთებს, ჩვენს ველებს, ლხენით მოსილი!..

ველა.

ბერლინი.

◆

პირველი მაისი

პირველი მაისი მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაულია. ეს დღე მუდამ და ყოველთვის სადემონსტრაციო დღეთ ითვლებოდა. ამ დღეს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი თავის მასიურ გამოსვლებში საქვეყნოდ პროტესტს აცხადებს არსებულ ბურჟუაზიულ წყობილების წინაამდეგ. სოციალიზმა არ იცის დღესასწაულები, მაგრამ წელიწადში ერთხელ ის აჩერებს მუშაობას და თავის ძალებს ანგარიშობს. ამ დღეს მედგრად გაისმის მარქსის დიდებული მოწოდება: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!»

მეტად მძიმე პირობებში შეხვდა წელს თავის დღესასწაულს მუშათა კლასი ყველგან. კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისი შეუჩერებლად წინ მიდის, ღრმავდება თანდათან და არღვევს რა ყოველგვარ ურთიერთობას ეკონომიურ სფეროში იმუქრება ეკონომიური ბარბაროსობის აღდგენით და შექმნილი ქაოსის დამკვიდრება-გამუდმებით. ამაოხრებელ ეკონომიურ კრიზისს, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ინტერნაციონალი, ფეხდაფეხ მოსდევს პოლიტიკური შავი რეაქცია ფაშიზმის სახელწოდებით, რომელიც სპობს რა თავისუფლების ყოველგვარ ნაშთს—ამეფებს პოლიტიკურ ველურობას და კაცობრიობას საშუალო საუკუნოების ბარბაროსობის აღდგენას უქადის.

კიდევ უფრო მძიმე პირობებში უხდება ამ საერთაშორისო დღესასწაულის შეხვედრა ჩვენს მუშათა კლასს. დღეს ის თავიდან ფეხამდე შებორკილია. მის ქვეყანას მტრები დაეპატრონენ, მისი სამშობლო საოკუპაციო ლაშქრის საალყუმოთ იქცა და მით პირველი მაისი მთელი ერის დამონების დღეთ გადაიქცა. მას დღეს უთანასწორო ბრძოლა აქვს გამართული თავისუფლების მოსაპოებლად. მის პირდაპირ დგას მოსკოვის კომუნიზმი, როგორც მისი დამპყრობი ძალა. ამ ბრძოლაში ჩაბმულია დღეს არა მარტო მუშათა კლასი, არამედ მისი მეთაურობით მთელი ერი და ჩვენ ერთი წუთითაც არ გვეპარება იჭვი, რომ ჩვენი ხალხი კვლავ დაიბრუნებს წართმეულ თავისუფლებას.

თავისუფლება მუშათა კლასის უდრის თავისუფლებას ერისას, დამოუკიდებლობას, ხელუხლებლობას მისი შინაური წყობილებისას. და აი იმ საერთაშორისო ლოზუნგებს, რომლითაც წელს ინტერნაციონალმა მუშათა კლასს მიმართა, ჩვენ უმატებთ:

ძირს ბოლშევიზმი!

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას!

გ. უ.

◆

საერთო ფრონტი საფრანგეთში

საერთო ფრონტის შესახებ ჩვენი შეხედულება არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენ გაზეთში. ამ საკითხზე აგრეთვე ჩვენი პარტიის სახელით რამოდენიმეჯერ მემორანდუმიც წარგვიდგენია სოციალისტურ ინტერნაციონალში.

ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ კომუნისტები საერთო ფრონტის საკითხს არასოდეს გულწრფელად და პატიოსნურათ არ უდგებოდენ. საერთო ფრონტი მათთვის იყო მარა მუშათა მოძრაობის გაერთიანების და გამთლიანების, არამედ ამ მოძრაობაში რღვევის და დაქსაქსვის შეტანის საშუალება. მათი სურვილია საერთო ფრონტის შემწეობით თავიანთი რიგები გააძლიერონ და გაამაგრონ, სოციალისტები კი დაანგრიონ და გაანადგურონ. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ სოციალისტების და კომუნისტების მიზანი სულ სხვადასხვა არის; თუ სოციალისტები დემოკრატიული სოციალიზმისაკენ მიილწვიან, კომუნისტები კი აბსოლუტური ეტატიზმის და ბიუროკრატიზმის მომხრენი არიან; ბოლშევიკების ტერორისტულ-დიქტატორული ტაქტიკაც ლოღიკურათ მათი ბიუროკრატიული პრინციპისაგან გამომდინარეობს და ამ მხრივ ჩვენ მათთან საერთო არაფერი გვაქვს. და სანამ ეს განსხვავებანი ამ ორ პარტიათა შორის რჩება, მანამ მათ შორის გულწრფელი და ლოიალური საერთო ფრონტი, მათი ერთათ მუშაობა და მათი ერთ პარტიაში გაერთიანება ყოვლად შეუძლებელი იქნება.

როცა წინეთ ფრანგი კომუნისტები მოსკოვის და კომინტერნის კარნახით მანიოვრებს აკეთებდენ და საერთო ფრონტით სოციალისტებს მიმართავდენ, ეს უკანასკნელნი მათ წინასწარ განზრახულ თაღლითობაზე ყოველთვის კატეგორიულ უარს ეუბნებოდენ და მათთან რაიმე კავშირს გაურბოდენ. მდგომარეობა თვალსაჩინოთ შეიცვალა გასული წლის 6 თებერვლიდან დაწყებული, როცა ფაშისტური და პარიზის მცხოვრებთა სხვა უკმაყოფილო ელემენტები ქუჩებში თამამათ გამოვიდენ და ხელისუფლებას აშკარათ შეებრძოლენ. სოციალისტები ამან ძალზე დააფრთხო და დააშინა. თუ ისინი წინეთ კომუნისტებს საერთო ფრონტზე მუდამ უარს ეუბნებოდენ, ეხლა მათ თვითონ აიღეს ინიციატივა და ფაშიზმის წინააღმდეგ კომუნისტებს ერთი ფრონტი შესთავაზეს. სოციალისტები ამ თავიანთ ნაბიჯებს ამართლებდენ არა მხოლოთ ფაშიზმის, არამედ ომის საშიშროებითაც. თან მათ ეჩვენებოდათ, რომ საბჭოთა რუსეთში ვითომ რაღაც ევოლიუცია ხდებოდა, რასაც შედეგათ მოსკოვის ზომიერი მოქმედება უნდა მოყოლოდა, როგორც მის ოფიციალურ საგარეო, ისე პარტიულ პოლიტიკაში. კომუნისტურ პარტიის მოშინაურების მოლოდინში გასული წლის ივლისის უკანასკნელ რიცხვებში სოციალისტებს და კომუნისტებს შორის დადებულ იქნა საერთო მოქმედების, ეგრეთ წოდებული თავდაუსხმელობის პაქტი.

მალე ათი თვე შესრულდება, რაც ეს პაქტი დაიდო. ეს უკვე საკმაო დროა, რომ ამ ხნის განმავლობაში მიღებული გამოცდილება სათანადოთ შეფასდეს და აწონილ-დაწონილ იქნას.

სოციალისტების ლიდერის—ბლუმის აზრით პაქტის საერთო დიდი მნიშვნელობა ის არის, რომ კომუნისტებთან შეთანხმებული მოქმედებით ჩვენ ჯერ-ჯერობით ფაშიზმის საშიშროება თავიდან ავიცილეთ, უპაქტოთ კი დღეს გაცილებით უარეს მდგომარეობაში ვიქნებოდითო. კერძოთ სოციალისტებისათვის პაქტი კიდევ მით არის საინტერესო, რომ ეხლა აღარ არის ის მუდმივი ობსტრუქციები, რომელსაც კომუნისტები გვიწყობდენ ყოველივე კრებაზე და მშვიდობიან პროპაგანდის საშუალებას გვისპობდენო.

ფრიად გაბედული მტკიცებაა, ვითომც საფრანგეთი ფაშიზმისაგან კომუნისტების და სოციალისტების შორის საერთო ფრონტს ეხსნას. სინამდვილესთან გაცილებით უფრო ახლო იქნებოდა იმის თქმა, რომ რესპუბლიკანური ძალები საფრანგეთში საერთოთ საკმაოთ ძლიერი აღმოჩნდა და ფაშისტებს ადვილათ უკან დაახევინა. თუ რა პროპაგანდა ხდება კომუნისტების და სოციალისტების შეერთებულ მშვიდობიან კრებებზე, ამას ქვემოთ დავინახავთ.

როგორ აფასებენ თვით კომუნისტები საერთო ფრონტის შედეგებს და რას ფიქრობენ ისინი მასზე საერთოთ?

ამ კითხვებზე ვრცელ პასუხს ვპოულობთ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორკვირეულ გამოცემაში («ბოლშევიზმის რვეული»—თებერვალი).

ამ რვეულში კომუნისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ, რამდენათ გასულ წელს ვითარდებოდა ბრძოლა საერთო ფრონტის მიმართულებით, იმდენათ ფართე მასებისათვის საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი ადვილათ გასაგები და მისაწდომი ხდება, როგორც ამას, მაგალითად, ადგილი ქონდა საფრანგეთშიო.

კომუნისტების ასეთი შეფასება არ არის გადამეტებული, თუ მოვიგონებთ კომუნისტების და სოციალისტების საერთო მიტინგს პარიზში—ბულიეს დარბაზში, სადაც 10.000 მსმენელის წინაშე კომუნისტები და სოციალისტები, ამ უკანასკნელთა შორის პარტიის გენერალური მდივანი—პოლ ფორიც კრებას ცხარე სიტყვებით მიმართავდენ და ერთხმათ გამოქონდათ რეზოლიუცია, რომელშიდაც ნათქვამია, რომ «საბჭოთა კავშირი, სადაც გამარჯვებულ რევოლიუციამ შესაძლებლათ გახადა სოციალიზმის განხორციელება, არის მთელი მსოფლიოს მუშათა სამშობლოო». თან ამ კრებაზე კომუნისტები და მათთან ერთათ ყველა სხვებიც გულმოდგინეთ ყვიროდენ—«გაუმარჯოს ყოველგან საბჭოებსო».

«ბოლშევიზმის რვეულში» კომუნისტები ამტკიცებენ აგრეთვე, რომ სოციალისტების ხარჯზე საერთო ფრონტის საშუალებით, მათი რიგები გაიზარდა და გამრავლდა ავსტრიაში და ისპანიაში.

მოსკოვი, კომინტერნი და მათთან ერთათ მათი მაჩანჩალა ფრანგი კომუნისტები საერთო ფრონტს მეტათ რთულ და სერიოზულ ამოცანებს აკისრებენ. აი რას სწერენ ისინი იმავე რვეულში:

«ჩვენ ახალი რევოლიუციების და ომების ციკლის წინაშე ვიმყოფებით. მაგრამ დღეს არც ერთ ხალხურ რევოლიუციას საბჭოთა დროშის გარეშე გამარჯვება არ შეუძლია... საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა თვალსაჩინო შედეგებით პროლეტარიატს შეუძლია მხოლოთ ერთად ერთ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ სოციალისტები კომუნისტებთან ერთად ერთ ფრონტს იღებენ, იმდენათ, რამდენადაც საკითხი თავდაცვას ეხება—მოგერიებულ იქნას ფაშისტების თავდასხმები გაერთიანებული ანტიფაშისტური ძალებით, დაცულ იქნას მუშათა დემოკრატიული უფლებები და შეუძლებელი გახდეს ომის გამოცხადება. სოციალისტები იღებენ საერთო ფრონტს, მაგრამ რჩებიან ბურჟუაზიულ დემოკრატიის ნიადაგზე. ჩვენ კი არა მხოლოთ თავდაცვას ვაწარმოებთ, არამედ თავდასხმაზედაც გადავდივართ. ჩვენ ვცდილობთ არა მხოლოთ ფაშიზმის პოზიციების ხელში ჩაგდებას, არამედ მის და საერთოდ ბურჟუაზიის ბატონობის განადგურებას და საბჭოთა ხელისუფლების სახით პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. ჩვენ ამ მიზნის მიღწევა შეგვიძლია სოც.-დემოკრატიასთან ბრძოლით და არა მასთან ბლოკში ყოფნით. აქედან გამომდინარეობს, რომ საერთო ფრონტში ერთად ბრძოლას შეუძლია სოციალისტური და უპარტიო მასების საბჭოთა ხელისუფლების მოსაპოებლათ დარაზმვა მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტები ამ ბრძოლის პროცესში მუშათა კლასის უმრავლესობას მიიმხრობენ და სოც.-დემოკრატიის გავლენას ლიკვიდაციას მოუხდენენ...

... საერთო ფრონტის საშუალებით ჩვენ უადვილებთ სოც. დემოკრატიულ მასებს კომუნიზმისაკენ გადასვლას, ვუმტკიცებთ რა მათ პრაქტიკით, რომ ფაშიზმის, კაპიტალიზმის და ომის წინააღმდეგ პირდაპირ ბრძოლას მხოლოთ ჩვენ ვაწარმოებთ. ჩვენ სრულიადაც არ ვმალავთ საერთო ფრონტის უმთავრეს მიზანს. ეს მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გაუადვილოთ სოციალდემოკრატიულ მასებს კომუნიზმისაკენ გადასვლა საბჭოთა ხელისუფლების დასაპყრობათ. ეს მუდამ იყო და რჩება ჩვენი უმთავრესი მიზანი».

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ასე გრძლათ ეს ამონაწერი, რომ მით ნათელვყოთ კომუნისტების ნამდვილი ზრახვები და სულისკვეთება.

მაგრამ არსებობს უკანასკნელი ხნის კიდევ უფრო საინტერესო დოკუმენტი. 3 მარტს, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს კრებას, სადაც ირჩეოდა საერთო ფრონტის საკითხი, კომუნისტების ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა წერილით, რომლითაც ის მათ წინადადებას აძლევს გამართულ იქნას სოციალისტების და კომუნისტების საერთო კრებები. მიუხედავათ იმისა, რომ ივლისში დადებულ პაქტის ძალით საერთო კრებებზე საკამათო საკითხების გამოტანა და თავდასხმები აღკრძალულია, ეხლა კომუნისტების აზრით ასეთ კრებებზე სხვათა შორის საკამათოდ უნდა დაისვას საკითხები: 1. მუშათა კლასის გაერთიანების პირობების შესწავლა და 2. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლა.

კომუნისტები წინადადებას იძლევიან დისკუსიის საფუძვლათ აღებულ იქნას კომინტერნის პროგრამა, რომელმაც საბჭოთა რუსეთში სოციალიზმის გამარჯვებამდე მიგვიყვანა, მეორე ინტერნაციონალი კი ომის ტრაღედიას ვერ გადაურჩა და მან გერმანიაში და ავსტრიაში დღეს არსებულ მდგომარეობამდე მიგვიყვანაო. მეორე ინტერნაციონალმა კომინტერნთან საერთო ფრონტი არ მოისურვა, ასეთ პირობებში საჭირო იქნება კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებმა საერთო მოქმედების მიზნით ინტერნაციონალური კონფერენცია მოიწვიონო.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი ნაციონალურ საბჭოს არ გაურჩევია და მის შესახებ კრებაზე კამათი არ ყოფილა. მასზე პასუხის გაცემა მიენდო პარტიის აღმასრულებელ ორგანოს. ამ უკანასკნელსავე დაევალა შეადგინოს სპეციალური კომისია, რომელიც კომუნისტებთან ერთად მუშაობას გასწევენ ერთი მთლიანი პარტიის შესაქმნელათ.

სწორედ რომ საკვირველი ამბავი ხდება. კომუნისტები სამართლიანათ ამბობენ, რომ მათი და სოციალისტების მიზანი სულ სხვადასხვაა, მათი ტაქტიკაც ერთმანეთისაგან დიდათ განირჩევა და ამიტომ მათი ერთ პარტიაში გაერთიანება შეუძლებელია. სოციალისტების ლიდერი—ბლუმი კი «პოპულერის» პირველ მარტის ნომერში სწერდა, თუმცა ამას ვერაფრით ვერ ამტკიცებდა, რომ კომუნისტების და სოციალისტების საბოლაო მიზანი ერთი და იგივეა და რომ მათი ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება საჭირო და აუცილებელია. ბლუმი არ გვიჩვენებს გზებს, რომელთა საშუალებით ასეთი გაერთიანება შესაძლებელია. მაგრამ ის მიზანშეწონილათ სთვლის, რომ, თუ დღეს ერთ პარტიაში გაერთიანება არ ხერხდება, ყოველ შემთხვევაში ერთ ფრონტში დავრჩეთ და იქ ერთად ვიმუშავოთო. ამაზე კომუნისტები, რასაკვირველია, კმაყოფილებას აცხადებენ, მოდით საერთო ფრონტში, აქ ჩვენ შევეცდებით თქვენი გაკრიტიკებით, თქვენთან ბრძოლით და თქვენი სახელის გატეხით მასები ჩამოგაცილოთ და თქვენზე ჩვენი ჰეგემონია დავამყაროთო. მიუხედავათ კომუნისტების ასეთი აშკარა და ცინიკური განცხადებისა, ბლუმი თავის პარტიას მაინც ამ საერთო ფრონტში მიერეკება.

3 მარტის ნაციონალური საბჭოს კრებაზე არც ერთი ორატორი არ ყოფილა კმაყოფილი გასული თვეების საერთო ფრონტის პრაქტიკით. ყველანი, და მათ შორის პარტიის გენერალური მდივანი—პოლ ფორი და მისი თანაშემწე—სევერაკიც ხაზს უსვამდენ კომუნისტების საერთო ფრონტში არალოიალურ საქციელს და მოქმედებას.

მიუხედავათ კრებაზე ასეთი სულიერი განწყობილების არსებობისა, მან თითქმის ერთხმათ გადაასწყვიტა კომუნისტებთან საერთო ფრონტის გაგრძელება.

14 მარტს სოციალისტური პარტიის აღმასრულებელ ორგანომ უპასუხა კომუნისტების ცენტრალური კომიტეტის წერილზე, რომელიც 3 მარტს გადაეცა ნაციონალური საბჭოს კრებას. ამ პასუხში ლაპარაკია ერთის მხრით საერთო მოქმედების დადებითი შედეგებზე, მეორეს მხრივ კი ჩამოთვლილია ის მანიოვრები, რომელსაც საერთო ფრონტში კომუნისტები აწარმოებენ და რომელსაც შეუძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ფრონტი ააფეთქოს. სოციალისტური პარტია არ სთვლის მიზანშეწონილათ კომუნისტების წინადადებას საერთო კრებებზე დისკუსიები გაიმართოს და უარს ამბობს სოციალისტური ინტერნაციონალის გარეშე კომუნისტებთან ერთათ საერთაშორისო კონფერენცია მოიწვიონ.

ამავე დროს ნაციონალური საბჭოს დავალების თანახმათ პარტიის აღმასრულებელ ორგანომ აირჩია სპეციალური კომისია, რომელიც დღეს მუშაობას აწარმოებს და წინადადებით მიმართავს სხვა პროლეტარულ პარტიებს და დაჯგუფებებს გაერთიანდენ ერთ პარტიაში შემდეგი ორი პრინციპის ნიადაგზე: 1) პროლეტარიატის დარაზმვა კლასიურ პარტიაში ძალაუფლების დაპყრობის და კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნის მიზნით; 2) პარტიის ხაზი და მოქმედება განისაზღვრება თვით პარტიის მიერ და მუშავდება მის ნაციონალურ კონგრესებზე მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებანი წინასწარ მიღებული იქნება ადგილობრივ ორგანიზაციებში.

საერთო მუშაობა კომისიაში გრძელდება, მაგრამ ჯერ ჯერობით ამ მუშაობას დიდი პროგრესი არ ეტყობა. კომუნისტები ჩვეულებრივ ინტრიგებს და მანიოვრებს არ ეშვებიან და აგრძელებენ. მათ გარკვეული მიზანი აქვთ და კარგათ იციან, თუ რას აკეთებენ.

კომუნისტებთან საერთო ფრონტით სოციალისტურ პარტიამ მეტათ ცუდ მდგომარეობაში ჩაიყენა თავისი თავი. ეხლა მან რომ მოინდომოს ამ ფრონტიდან გამოსვლა და მისი დარღვევა, მას არ გაყვება და ჩამოსცილდება მისი ბოლშევიზანური ნაწილი. ასეთ რამეს კი პარტიის ხელმძღვანელნი ვერ ბედავენ და მასზე ვერ მიდან. ალბათ ამიტომაც არის, რომ პარტიის ლიდერი—ბლუმის აზრით უკეთესი და უფრო მიზანშეწონილია პარტია დარჩეს საერთო ფრონტში. ვინ იცის, ამბობს ის, ეგებ საერთო მოქმედებამ ადვილათ მოამზადოს ამ ორ პარტიათა ორგანიული მთლიანობაო. ისტორია განსაზღვრულ მოვლენებისაგან შესდგება, რომელნიც პატარა სასწაულების ხასიათს იღებენო. ესე იგი ბლუმი ხსნას სასწაულიდან მოელის.

თუ მივიღებთ მხედველობაში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დღევანდელ მდგომარეობას და იმ პირობებს, რომელშიდაც მას ბრძოლის და მუშაობის წარმოება უხდება, მართლა სასწაული იქნება, თუ ის კომუნისტების მიერ შეჭმას და განადგურებას გადაურჩება.

პ. ბ.

უნიღაბოთ

არის ერთი ჭკვიანური თქმულება: მითხარი ვინ გფარველობს და გეტყვი ვინ ბრძანდებიო. ახლა როგორც იყო გამოჩნდა რომ «კავკაზს» და ბამატ-ამირეჯიბ-გობეჩია-ამილახვარის კამპანიას მფარველობა მილიუკოვის გაზეთი «პოსლედნია ნოვოსტი». ამის ინტიმურ დაძმობილობას მოგვითხრობს ეს ორგანო 9 ამ თვის ნომერში. რისთვის, რა მოტივებით?

საკმარისია გადაიკითხოთ იმავე ნომერში მილიუკოვის აღსარება: «ჩვენი დამოკიდებულება საფრანგეთ-საბჭოთა ხელშეკრულობისადმი დადებითია. უკეთესდება არა მარტო საერთო მდგომარეობა, არამედ მდგომარეობა საბჭოთა კავშირისაც. იაპონიის საშიშროება რამდენიმეთ შესუსტდა. დასავლეთში სამწუხაროთ ხელშეკრულობა ვიწრო ჩარჩოშია მოთავსებული, ჩვენი სურვილია რუსეთის ინტერესისათვის მისი გაფართოვება» და სხ. ე. ი. მილიუკოვი მხარს უჭერს სტალინის პოლიტიკას და მაშასადამე მისთვის სრულიად მიუღებელია ყველა ისეთი დაჯგუფება, რომელიც ამ პოლიტიკას ებრძვის. ქართულ ემიგრაციაში ასეთი ანტი საბჭოთა მებრძოლი დაჯგუფება ერთათ-ერთია: ნაც. მთავრობა, ნაც. ცენტრი და მათი დამხმარე პარტიული თუ არა-პარტიული ორგანიზაციები. ყველა დანარჩენი დაჯგუფება ებრძვიან მხოლოდ ამ ანტისაბჭოთა ძალას, შლიან ამ სიმაგრეს და მით აკეთებენ მოსკოვის საქმეს. ამას კარგათ მიხვდა «პოსლედნია ნოვოსტი» და საჯაროთ თავის მფარველობაში აიყვანა ეს ჩვენი დამარღვეველი ჯგუფები. ჯერ მან გადმობეჭდა «კავკაზ»-ის წუმპიდან ყალბი ცნობა, ვითომ ქართულ კოლონიამ აირჩია «თავის მრავალ რიცხოვან კრებაზე ოფისი, რომელიც მოწოდებულია ემიგრანტების ინტერესების დასაცავათ და საკონსულო მოვალეობათა შესასრულებლათ, გასწიოს ქართული ლეგაციის მაგიერობა», სადაც დამარცხებულან ქართველი მენშევიკები და «ჟორდანიას სამეთაურო ცენტრი», ერთი სიტყვით «კავკაზის» ჩვეულებრივი ჭორები. ამის პასუხათ ქართული ოფისის დირექტორმა ს. ასათიანმა მოათავსა იმავე ნომერში ამ ცნობის უარისყოფა, რასაც რედაქცია უკეთებს გრძელ შენიშვნას ჭორების დასაცავათ და ათავებს ასე: «ოფისის ძველი შემადგენლობა ა. ჩხენკელის მეთაურობით უარს ამბობს გადასცეს საქმეები ახალ შემადგენლობას და არ სცნობს ამ არჩევნებს კანონიერათო».

ამნაირათ, ჩვენი კოლონიის არევ-დარევა, მისი დამანგრეველი დაჯგუფებათა უეჭველათ ქართული საქმის სათავეში მოქცევა და უკვე არსებული მებრძოლი ანტიმოსკოური ცენტრის გარიყვა სავსებით შედის მილიუკოვის საგარეო კომბინაციებში. ამ მიზნით ის არ ერიდება «კავკაზის» ჭორებს დაურთოს თავის საკუთარი ჭორებიც. როგორც მაგ. «წინანდელ ქართულ ლეგაციამ დასტოვა თავისი სადგომი ბურდონეს ქუჩაზე და არ დასტოვა ახალი მისამართი»! ე. ი. შიშით დამალულა! განსაკუთრებით ქებით მოხსენებულია ბ. შ. ამირეჯიბი, რომელსაც თურმე დაეჯერება რასაც «კავკაზში» სწერს. ეს ქების ფურცელი უეჭველია გამოიწვია ამ ვაჟბატონის წერილმა გრ. ურატაძის წინააღმდეგ, რომელსაც უშვერი სიტყვებით იხსენიებს მოსკოვში გამგზავრებისათვის ხელშეკრულობის შესაკრავათ. რასაკვირელია, მილიუკოვის თვალსაზრისით ეს იყო რუსეთის ინტერესების დარღვევა და ეს არა ერთხელ გამოუცხადებია—7 მაისის აქტი ცალმხრივია და მიუღებელიაო. ამირეჯიბის ბლოკი აქაც მილიუკოვს ეხმარება. მათთვის გარსევან ჭავჭავაძე, რომელმაც მოსკოვს მიართვა საქართველოს თავისუფლება, დიდათ საქები და მისაღები პიროვნებაა; ხოლო გრ. ურატაძეს ამ გაცემული თავისუფლების ამოგებით და საქართველოსათვის დაბრუნებით დიდათ დაუშავებია!

ამირეჯიბის კამპანია რუსებისათვის უფრო მისაღებია აგრეთვე მისი ორგანოს «კავკაზის» ნაციონალური პოზიციისათვის. აქ ახლა აშკარათ აღიარებულია შესაძლებლობა «დიდ სახელმწიფოსან დაკავშირების» ან «ფედერატიულათ ან და კავკასიის ხალხები შევლენ როგორც ავტონომიური ერთეულნი ამ სახელმწიფოში, რომელიც იქნება აგებული ფართო დეცენტრალიზაციის საფუძველზე» (№ 4, აპრილი). ასეთი დიდი სახელმწიფო ჩვენს მეზობლათ ერთათ-ერთია—რუსეთი. «პოსლ. ნოვოსტის» პოზიციაც სწორეთ ამნაირია ჩვენს მიმართ, მიირთვით, ფედერაცია და ავტონომიაო. ამ დებულებას «კავკაზი» ამაგრებს ასეთი დებულებით»: «კავკასიის არც ერთი ხალხი, ცალ-ცალკე აღებული, არ შეიცავდა არც საკმაო სიმწიფეს, არც საკმაო ძალებს რომ შექმნას სასიცოცხლო სახელმწიფო». ეს არის იმავე დროს დებულება რუსის იმპერიალისტების.

ქართული შავი რაზმი არასოდეს არ დაშორებია რუსულ იმპერიალიზმს და ვერც დღეს დაშორდება. კოლონიაში ჩამოყალიბებული თავადების და ფაშისტების ბლოკი გობეჩია-კედიას მეთაურობით არის ერთი გუნდი იმ ანტიქართული რაზმის, რასაც მეთაურობენ ბამატ-ქარუმიძენი. ეს რაზმი საჯაროთ იქნა აყვანილი მილიუკოვის პროსაბჭოთა სამფარველოში. მან კარგათ იცის «სად ბინადრობს კიბო», მოსკოვის გზებს თავს უყრის; მისთვის ბამატი და მისი ქართველი მოახლენი სწორეთ მისწრებაა, ხოლო საქართველოს მიერ წარმოგზავნილი ხელმძღვანელობა ნამდვილი უბედურობაა. მდგომარეობა გარკვეულია, ნიღაბი ახდილია.

ზოგი რამ

«კავკაზ»-ი თავს არ ზოგავს. უფრო ყვირის, ვიდრე ხმა შესწევს. არ ერიდება არც ინსინუაციას და არც ქუჩაში მოკრეფილ ჭორების თავის ფურცლებზე გადატანას. ის არამც თუ კრეფს ჭორებს, თვითონაც თხზავს და თავის დაბეჩავებულ მკითხველს უხვად აწვდის.

ჭორიკანობს ყველა—დაწყებული რედაქტორით და გათავებული პრესის მიმომხილველით. რედაქტორმა ბამატმა სხვის წერილში ნ. ჟორდანიას გვარი ჩაუმატა, პრესის მიმომხილველმა «დ. ს.» მიაწერა ისეთი რამ, რომელიც მას არსად უთქვამს. თანამშრომელმა ვინმე ელექხოტმა მოჭორა თითქოს ჩვენი ამხანაგი დეპუტატები დუმაში ნამესტნიკს გაეყვანოს; მეორე თანამშრომელმა თფილისელმა ჩვენი გაზეთის «ბორბა»-დან მთელი აბზასი მოიყვანა ფრჩხილებში ნომრის დაუსახელებლად. ამ თაღლითობაში დაჭერილებმა ყველამ, გარდა თფილისელისა, გაჩუმება არჩია. ან კი რა ქონდათ სათქმელი! თფილისელი კი, ნაცვლად გაჩუმებისა, ლაზღანდარობით ლამობს თავის დაძვრენას. ის მე მავალებს გადავხედო «1921 წლის «ბორბა»-ს იანვრის და თებერვლის კონპლექტი» და იქ თურმე ვნახავ «რამდენიც მინდა ისეთივე აზრის წერილებს». («კავ.» № 2-3). მოდი და ასეთ კაცს ეკამათე! შეთხზა ჭორი, მოიყვანა ფრჩხილებში როგორც ციტატა და როცა ნომრის დასახელება მოვთხოვეთ—იანვარ-თებერვლის ნომრებში იქნება და თვითონ მონახეო. ჩვენ შევპირდით მას, რომ თუ ის სათანადო ნომერს ვერ დაასახელებდა საჯაროთ ჭორიკანას უწოდებდით. რაკი მან ეს ვერ შესძლო—ჩვენ უფლება გვაქვს მას ჭორიკანა უწოდოთ და როგორც ასეთთან კამათიც შევსწყვიტოთ.

⁂

იმავე გაზეთში დიდათ ფართი ფურთობს ჩვენი ჭორიკანა უეკლესიო დიაკვანი ბ. შ. ამირეჯიბი. ეს მღოლავი ჟურნალისტი, როგორც სჩანს, მთავარი სულის ჩამდგმელია ამ ჭორიკანა გაზეთის და იმ სამარცხვინო კომპანიის, რომელსაც ეს გაზეთი ჩვენი მთავრობის და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ აწარმოებს. ამ ხელათ ის ეხება ნ. ჟორდანიას უკანასკნელ წერილს «ნაც. ფრონტი»-ს, უტრიალებს ირგვლივ, ებღაუჭება უთავბოლოთ ამოგლეჯილ ფრაზებს, გაჰკრავს-გამოჰკრავს ბლაგვ კბილებს მარქსიზმს და თავს ინუგეშებს მისივე ლეგენდით—«ქართული მარქსიზმი საბოლოვოთ განადგურდა»-ო. აღიას დარდი ფლავიაო, რომ იტყვიან ესაა. თუ როგორ განადგურდა ქართული მარქსიზმი—ამას ჩვენ ვნახავთ, როცა ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდება და კვლავ აღსდგება. ამ მხრივ ჩვენ სრულიად დამშვიდებული ვართ. კითხვა ამაში კი არაა, არამედ იმაში, რომ გამდგარი ჯგუფები ხელს უშლიან და ებრძვიან ეროვნულ პოლიტიკას და ამას სჩადიან თავის კლასიური ეგოიზმის ზე გავლენით. აი ესაა მთავარი და არა ის ლობეყორე, რომელსაც ბ. ამირეჯიბი ედება. ის ისეთ აბსურდამდეც მიდის რომ აცხადებს არიან ისეთები, რომლებიც ყოფილი მენშევიკური წყობილების რესტავრაციაზე ოცნებობენო! მენშევიკური წყობილება! ეს რაღა ახალი ამბავია!? საქართველოში იყო პარლამენტარული წყობილება, მიღებული ერთხმად დამფ. კრების მიერ კონსტიტუცია და როცა ბ. ამირეჯიბი ამ კონსტიტუციაზე დამყარებულ წყობილებას მენშევიკურ წყობილებათ აცხადებს, მან არ იცის რას სწერს, ან იცის და შეგნებულად სტყუის.

ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირეს წერას—«ნაციონალური სახელმწიფო», «ნაციონალური საქართველო», «ეროვნული გაერთიანება» და სხ. ასეთები. ბ. ამირეჯიბიც აცხადებს: «არის პატრიოტული ემიგრაცია, რომელიც აზროვნებს მომავალ საქართველოს ნაციონალურ სახელმწიფოთ»-ო. რა არის ეს «ნაციონალური სახელმწიფო»? თუ ეს შეეხება მოსახლეობას—საქართველო მუდამ ასეთი იყო. თუ ეს ეხება ტერიტორიას—ტერიტორია ხომ წინეთაც ქონდა მას. მაშ რა არის ეს «ნაც. სახელმწიფო»? მეორე ადგილას ის ამბობს: «მთავარია ის, რომ ბ. ჟორდანია, ასე თუ ისე, მაინც ყოფს საქართველოს და ყოფს სწორედ კლასებათ»-ო. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბ. ამირეჯიბის «ნაციონალური სახელმწიფო» იქნება არ დაყოფილი კლასებათ, არამედ გაერთიანებული, ზე კლასიური. შეუძლია კი მის «პატრიოტულ ემიგრაციას» ასეთი სახელმწიფოს შექმნა? ამირეჯიბის და მისი კომპანიისათვის საქართველო მაშინ იქნება «ზე კლასიური», როცა თვითონ იქნებიან გაბატონებული, როცა თავადაზნაურობა ძველებურათ, მამა-პაპურათ ქვეყანას სათავეში ჩაუდგება და ამირეჯიბ-ამილახვართა მეთაურობით ქართველ ხალხს «ჭკუას ასწავლიან». მარა რომ მართლა, გაერთიანებული, ზე კლასიური სახელმწიფო დამკვიდრდეს—უნდა მოიშალოს ის საფუძველი, რომელზედაც შენდება თანამედროვე სახელმწიფო. ესაა კერძო საკუთრება. არ ყოფილა შემთხვევა რომ ნაციონალური მთლიანობა, ზე კლასიური სახელმწიფო აშენებულიყოს კერძო საკუთრებაზე. სადაც კერძო საკუთრებაა—იქ ამ საკუთრების უქონლობაც არის. ამათი შერიგება შეიძლება ხოლმე ერთის დამორჩილებით და მეორეს გაბატონებით. და აი სწორედ ამ ნიადაგზე ეწყობა კლასობრივი სხვადასხვაობა. უნდა მოიშალოს ეს საფუძველი და მთელი ერი უნდა გახდეს ამ საკუთრების პატრონი, მაშინ მართლაც დამყარდება ჭეშმარიტი ნაციონალური სახელმწიფო, მოხდება ნაციონალური გაერთიანება და მოხდება არა მარტო მექანიკურად, არამედ არსებითადაც. შეუძლია კი ეს შეითვისოს და განახორციელოს ბ. ამირეჯიბს და მის «პატრიოტულ ემიგრაციას»? რასაკვირველია არა ეს შეუძლია მხოლოდ იმ სოციალისტურ წრეებს, რომლებიც იბრძვიან ამისთვის, როგორც მეთაურნი უმრავლესობის. ვინც ებრძვის ამ უმრავლესობას, ის ებრძვის იმავე დროს ეროვნულ მთლიანობას, ეროვნულ გაერთიანებას. ამ მხრივ ყოველი ნაციონალისტი უაღრესად ანტი ნაციონალისტია. და აი როცა დღეს აქეთ-იქიდან ასეთი რიხით გამოდიან «ეროვნული გაერთიანების», «ეროვნული მთლიანობის» ლოზუნგით—თავსაც იტყუებენ და სხვასაც ატყუებენ. თუმცა, არ ვფიქრობთ, ბევრი იყვენ ისეთები, რომლების მოტყუებაც ასე ადვილი იყოს. რომ ამ ლოზუნგით ქართველი ხალხის გაერთიანება შესაძლებელი ყოფილიყო—ამას შესძლებდენ ისეთი კარიფეები, როგორიც იყვნენ ი. ჭავჭავაძე და სხვები. და აი როცა ახლა იმას, რაც ვერ შესძლეს მათ, ასე ებღაუჭებიან სხვადასხვა ჯურის პიგმეები—ჭეშმარიტად რომ სასაცილოა მათი ასეთი ჭაპან წყვეტა...

⁂

ამ სასაცილო ჭაპან-წყვეტის ურემში ამ ჟამად დ. სალირაშვილიც შებმულა. ის ბეჭდავს «ორნატ»-ში წერილს ასეთი მყვირალა სათაურით: «მე არ შემიძლია გავჩუმდე». როგორც ვიცით სწორედ ასეთივე სათაურით ლ. ტოლსტოიმაც დაბეჭდა თავისი ცნობილი წერილი. სად ტოლსტოი, სად სალირაშვილი—იტყვით თქვენ! მართალია, მარა გაჩუმების თუ არ გაჩუმების უფლება ხომ ბ. სალირაშვილსაც აქვს. საინტერესო მხოლოდ ისაა—რატომ დღეს ვერ გაჩუმდება ბ. სალირაშვილი?! წერილი ქარუმიძის შესახებ დაიბეჭდა ჯერ კიდევ ოქტომბერში, ის კი თებერვალში იძახის—«არ შემიძლია გავჩუმდეო»! რატომ? რა აჩუმებდა აქამდე, ან რა ატანს დღეს ძალას—იყვიროს?!

რამდენი სისაძაგლე გადმოანთხია ქარუმიძემ და მისმა გაზეთმა ჩვენი პარტიის, მისი მეთაურების, ჩვენი საქმიანობის და წარსულის შესახებ და სალი-

---

თანამედროვე კრიზისი

(თეზისები მოხსენებისა, რომელიც ამხ. ი. ელიგულაშვილმა წაიკითხა პარიზის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის კრებაზე)

1. თუ შეიძლება ხელოვნურათ მაინც ისტორიის მსვლელობის და ვითარების ეპოქებათ დაჭრა, დღევანდელი მდგომარეობის უმთავრეს მიზეზად დიდი ომი უნდა ჩაითვალოს. მის მიერ გამოწვეულმა განუსაზღვრელმა მოთხოვნილებამ და დაგროვილი სიმდიდრის განადგურებამ მისცა დიდი იმპულსი წარმოების ზოგიერთ დარგის უსაზღვრო განვითარებას. ამას მოყვა მობილიზაცია ყველანაირი საჭირო მასალების და საქონლის; ამ მობილიზაციამ ჩაითრია აგრეთვე ნეიტრალური ქვეყნებიც.

2. ომის მიერ გამოწვეულმა მსოფლიო ბაზრის დაშლამ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა არა მარტო მეომარი, არამედ ნეიტრალური ქვეყნებიც, და დაანახა ქვეყნიერებას, თუ რა უარყოფითი ხასიათი აქვს იმ გარემოებას, როცა სახელმწიფო არის დამოკიდებული გარეშე ბაზრისაგან თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

3. ამან გამოიწვია წარმოების ხელოვნური განვითარება, ტეხნიკას დიდი იმპულსი მიეცა და იგი შესდგა სწრაფ განვითარების გზაზე.

4. ომის გათავების შემდეგ შეიქნა შემდეგი მდგომარეობა: ერთი მხრივ დამშეული და დანგრეული ქვეყნები, რომლის გაძღომა და აშენება გახდა აუცილებელი საჭიროება. მეორე მხრივ კი პოლიტიკური კატაკლიზმები, რომელმაც ჩამოაშორა საერთაშორისო ბაზარს სრულიათ თუ ნაწილობრივ ნახევარი ევროპა და დიდი ნაწილი აზიის,—რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი. ვერცხლის ფასის დაცემამ ძალიან შეამოკლა მყიდველობითი უნარი მრავალი ქვეყნების, სადაც ვერცხლზე იყო აშენებული ფულის ბრუნვის სისტემა.

5. სანამდის გრძელდებოდა დამშეული ქვეყნების გაძღომა და დანგრეულ ქვეყნების აღმშენებლობა მრეწველობა ვითარდებოდა, რამაც დაბადა ილლუზია მუდმივი წარმატების.

6. ომის მიერ გამოწვეული ხარჯების დასაფარავად ყველა ერებმა ინფლაციას მიმართა: რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრიამ, საფრანგეთმა და სხვ. ამ გარემოებამ დიდი სოციალური ცვლილებები გამოიწვია, სახელდობრ საშუალო კლასების განადგურება და მათი მყიდველობითი უნარის შემცირება.

7. ომმა დაანახა ქვეყნიერებას, თუ რა ცუდია, როცა ქვეყანა დამოკიდებულია სხვა ქვეყნებიდან ისეთ აუცილებელი საგნების შეძენაში, როგორც სანოვაგე, ტანსაცმელი ან ნედლი მასალა. ამიტომ ყველა ქვეყნები შეეცადა შინაური წარმოების განვითარებას, როგორც სასოფლო მეურნეობაში, ისე მსუბუქ ინდუსტრიაში—და დაიწყო ხანა ეკონომიური ნაციონალიზმის, რამაც გამოიწვია საბაჟო ომი და მსოფლიო ბაზრის შევიწროება.

8. აუარებელი ხარჯების დასაფარავად სახელმწიფოები მიმართავდენ ჯერ ინფლაციას და სესხს, შემდეგ გადასახადებს. სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმართველობათა ბიუჯეტის ზრდას საზღვარი აღარ აქვს. თუ ომამდის საქონლის ფასში ხელფასი და მოგება წარმოადგენდა 73 პროც., ხოლო ამორტიზაცია და სარგებელი 12 პროც. და გადასახადები 15 პროც.,—1933 წელს ეს ციფრები შემდეგნაირათ იცვლება: ხელფასი და მოგება 54 პროცენ., ამორტიზაცია და სარგებელი 18 პროც., ხოლო გადასახადები 28 პროც. თუ ყველა ეტატისტურ ხარჯებს (გადასახადებს:—სახელმწიფოს ბიუჯეტი, ვალების ამორტიზაცია, დეპარტამენტების და კომუნების ბიუჯეტი, სოციალური დაზღვევა, და რკინის გზების დეფიციტის დაფარვას)—შევადარებთ ეროვნულ შემოსავალს საფრანგეთში, ჩვენ დავინახავთ რომ ომამდის ეს ეტატისტური ხარჯები წარმოადგენდენ 24.9 პრ. ეროვნული შემოსავლისას, 1934 წ. კი—65,7 პროცენტს.

9. ამრიგათ, ზემო ჩამოთვლილი მიზეზების გამო, საზოგადოებრივი ცხოვრების რგოლი თანდათან ვიწროვდება და ძაფები თანდათან იხლართება,—კრიზისი ჩაისახა. საერთაშორისო ბირჟამ 1929 წლის ოქტომბერში ოფიციალურათ გამოაცხადა კრიზისის დაწყება; ამ კრიზისს შემდეგი ციფრები ახასიათებენ: ინდუსტრიული წარმოების ინდექსი 1929 წ. ამერიკაში უდრიდა 177-ს (1913—100), ხოლო 15 ევროპიულ სახელმწიფოში 118, 1932 წელს ამერიკაში ეს ინდექსი უდრიდა 96, და ევროპიულ სახელმწიფოებში 78-ს. მართალია, მას შემდეგ მდგომარეობა ცოტათი გამოკეთდა, წარმოების შემოკლებამ და საერთაშორისო აღებ-მიცემის შევიწროებამ ერთი მხრივ, და ტეხნიკის განვითარებამ—მეორეს მხრივ, უმუშევართა დიდი არმია შექმნა: თუ წლიური საშუალო რიცხვი უმუშევრების უდრიდა 1929 წელს 23 ევროპიულ სახელმწიფოში 4.106.000, 1933 წელს ეს რიცხვი საზღაპროდ გაიზარდა 30.519.000-მდე (ამერიკაში 11.927.000, ინგლისში 2.567.000 და დანარჩენ ევროპიულ ქვეყნებში 11.025.000). ამასთანავე ფასები ყველა საგნებზე საშინლათ დაეცა, ზოგიერთ შემთხვევაში 70 პროცენტით.

10. ამ გარემოებამ მთლათ დაშალა კაპიტალის და ფულის ბაზარი. კატასტროფიული გაკოტრებები ავსტრიაში, გერმანიაში, ინგლისში, რეპარაციების ფაქტიური მოსპობა, და ოქროს ქვეყნიდა-ქვეყანაში არა ნორმალური მოგზაურობა, სრულიად შლის ფულის ტრიალის სისტემას მრავალ ქვეყნებში, რაც დაგვირგვინდა გირვანქა სტერლინგის დაცემით. თუ მივიღებთ მხედველობაში ლონდონის ფულის ბაზრის როლს მსოფლიოში, როგორც საერთაშორისო კლერინგისა (ურთიერთ შორის ანგარიშების გასწორება საზოგადო დაწესებულების (პალატის) საშვალებით)—დავინახავთ, თუ რა გავლენა უნდა ქონებოდა გირვანქის დაცემას მთელ მსოფლიო ფულის ტრიალში და საზოგადოთ აღებ-მიცემობაში. 1933 წ. მოყვა მეორე დიდი ფულის დაცემა—დოლარის—რომელმაც საერთაშორისო აღებ-მიცემობას უკანასკნელი ლახვარი ჩასცა.

11. დაქვეითდა თავისუფალი ვაჭრობა, აღებ-მიცემობა; მსოფლიო ბაზარი, როგორც რეგულიატორი საქონლის მოძრაობის და ფასების, ფიქციათ აქცია; გაჩნდენ სუროგატები: კონტინგენტები და კლერინგები, რომლებსაც უნდა ეთამაშა მსოფლიო ბაზრის რეგულიატორის როლი, ხოლო სინამდვილეში კი უფრო მეტათ გააუარესეს მდგომარეობა.

12. დღევანდელ დღეს ახასიათებს კრიზისი ყველა დარგში, როგორც მატერიალურში ისე მორალურში. ეძებენ გამოსავალს, მიმართავენ სხვადასხვა გვარ ზომებს.

13. უპირველეს ყოვლისა ხელი მიყვეს წარმოების შემცირებას. შემცირება სათესი მიწის ამერიკაში, კანადაში. ყავის და შაქრის ბრაზილიაში და კუბში. ყველაზე უფრო ძნელი ხდებოდა წარმოების მოგვარება სასოფლო მეურნეობაში. არა მარტო დაინტერესებული მხარე ცდილობდა აქ ამ წარმოების შემცირებას, არამედ სახელმწიფოც თანდათან ერევა ამ სფეროში და თავის ძალდატანებითი იარაღით მოქმედობს. დაიბადა იდეა პლანიზაციის და economie dirigé სი. წარმოების სფეროში იყო წამოყენებული ძალდატანებითი შეთანხმება მწარმოებელთა შორის, რათა წარმოება არ ყოფილიყო ანარქიული და შეფარდებოდა მოთხოვნილებას: ამის სხვადასხვანაირი იურიდიული ფორმები ჩამოყალიბდა იტალიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ამერიკაში და ბოლოს საფრანგეთშიც.

14. ასეთივე შევიწროება და სახელმწიფოს ძალდატანებითი ჩარევა მოხდა აღებ-მიცემაში, უმთავრესათ საგარეო ვაჭრობის დარგში. რათა შინაური ბაზარი მარტო შინაურ წარმოებას დამყარებოდა, საბაჟო პოლიტიკა დაადგა შევიწროების გზას: კონტინგენტის სისტემის შემოღება, ბაჟების მომატება, კლერინგების დაარსება.

15. ფულის ტრიალის დარგში და კაპიტალის მოძრაობაშიაც იგივე პლანიური პრინციპი იქმნა შემოღებული სხვადასხვა ქვეყნებში.

16. მუშახელის დარგშიაც იგივე პოლიტიკური ზომები იყო მიღებული, სახელდობრ ეროვნული წარმოება—მარტო ეროვნულ მუშისთვის, და უცხო მუშა ხელის რეგლამენტაცია და გაძევება.

17. მხოლოდ რამოდენიმე ქვეყნები დაადგენ სამუშაო დღის შემოკლებას (იტალიაში შემოღებულ იქნა 40 საათის სამუშაო კვირა, ამერიკაში ზოგ დარგში კიდევ უფრო მოკლეც).

18. რათა უმუშავართა რიცხვი შემცირებიათ, მიღებული იყო ზომები საზოგადო მუშაობის შემოღების—გზების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა, სახლების აშენება და სხვა. ვინაიდან საზოგადო მუშაობის მოწყობისთვის საჭიროა დიდი ფინანსიური წყაროები, ხოლო კაპიტალის ბაზარი ძალიან ინერტიული აღმოჩნდა, ამ საზოგადო ხასიათის მუშაობას არ მიუღია ფართო ხასიათი.

19. ამ ზომებმა ჯერ ჯერობით სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. არც ერთ სოციალურ ჯგუფს, არც ერთს პარტიას, და ცხადია არც სახელმწიფო ძალა-უფლებას ჯერ-ჯერობით ვერ გამოუცვნია ძირითადი მიზეზი ამ საშინელი კრიზისისა და სწორე დიაგნოზი ვერ დაუსვამს. სამწუხაროთ, არც სოციალისტურ პარტიებს აქვთ გარკვეული ხაზი; ზოგ ქვეყნებში ეს პარტიები დაეყრდნენ მოხელეებზე და წვრილ ბურჟუაზიის ნაშთებზე. იმის მაგივრათ, რომ

რაშვილს შეეძლო გაჩუმება, მარა, როცა მათ თავის დაცვის მიზნით ჩვენ პასუხი გავეცით—მას არ შეუძლია გაჩუმდეს არა? რატომ? და ყოველივე ამის შემდეგ რაღაცაებს «უბრალო სამართლიანობის გრძნობაზე»-დაც ლუღლუღებს! მას რომ იოტის ოდენა «სამართლიანობის გრძნობა» მართლაც აწუხებდეს, დღემდე ათასჯერ იყვირებდა ქარუმიძის და კომპ. მიერ ჩვენს წინააღმდეგ გამართულ უმსგავსოებათა შესახებ!

ბ. სალირაშვილი «ორნატი»-ს რედაქციას ასე მიმართავს: «ეს ერთად-ერთი ქართული ბეჭდვითი ორგანოა, სადაც ამ წერილის მოთავსება ჩემთვის უფრო მისაღებია»-ო. ცოტა ქვევით კი თავის თავს ისევ სოციალდემოკრატათ აცხადებს! სოციალდემოკრატი, რომელსაც ერთად-ერთ მისაღებ ორგანოთ ფაშისტების გაზეთი მიაჩნია—უთუოდ მუზეუმში გასაგზავნი, როგორც იშვიათი ეკზემპლიარი.

თავის წერილს ბ. სალირაშვილი იწყებს ყალბი ჩერვონცებით და ყველგან ხმარობს: «ჩერვონცების გაყალბება» (ხაზი ჩვენია). გაყალბება ერთია და ყალბი ჩერვონცების დამზადება მეორე. დავიჯეროთ ბ. სალირაშვილს არ ესმის ეს განსხვავება?! მითხარი ვის იცნობ და მერე გეტყვი ვინ ხარო—უთქვამთ ძველად. ბ. სალირაშვილი, როგორც სჩანს, ძალიან კარგად იცნობს ქარუმიძეს. ასე რომ არ იყოს არც მის დაცვას იკისრებდა. მარა იცავს ისე უხერხულად, ისე ტლანქად, რომ თეთრი ძაფები ყველგან მოსჩანს. სწორედ რომ ბედი სწყალობს შ. ქარუმიძეს! არის ხალხი, რომელიც მისთვის თავს იტეხს, თვითონ კი ზის და ულვაშებში იცინის!

ბ. სალირაშვილი სასამართლოს მოითხოვს, მარა განაჩენი თვით გამოაქვს წინდაწინ და გამოაქვს, რასაკვირველია, ქარუმიძის სასარგებლოდ. ის მოწმეცაა, დამცველიც და მოსამართლეც. უნდა ითქვას, რომ თავის კლიენტის დაცვაში ის დიდ აბლაკატურ ნიჭს იჩენს. ის სერიოზულად ცდილობს შავის გათეთრებას, მარა თუ არაფერი გამოუდის მისი რა ბრალია. როცა საქმე წაგებულია, ვერავითარი მჭევრმეტყველება, თუ გინდ ეს სალირაშვილის იყოს, მას ვერ იხსნის. და რომ ქარუმიძის საქმე ამ მხრივ წაგებულია, ეს მანაც კარგად იცის თორემ რაღა დ. სალირაშვილის იმედით დარჩებოდა. თვითონ ათასჯერ უკეთ შეუძლია თავის დაცვაც, ჩვენც კარგად გვიცნობს, ჩვენი და ჩვენი გაზეთის მისამართიც იცის და თუ ჩვენი მხრით რაიმე უსაფუძვლო ბრალდებას ქონდა ადგილი—პასუხიც შეეძლო მოეთხოვა და დაკმაყოფილებასაც სათანადოს მიიღებდა. და თუ ამას არ სჩადის—ალბათ იმიტომ რომ ის უფრო ჭკვიანია, ვინემ მისი ფასიანი თუ უფასო აბლაკატები.

როგორც ჟორიკანა «კავკაზ»-ი (№ 4) გადმოგვცემს ქარუმიძეს ძალიან მოსწონებია დ. სალირაშვილის ასეთი «ვაჟკაცური გამოსვლა» და მოწყალეთ აცხადებს, რომ ამის შესახებ «თავის ვრცელ პასუხს «კლდე»-ს მომავალ ნომერში დასტამბავს». მანამდე კი ერთხელ კიდევ ძღება ჩვენი ლანძღვა-გინებით და მედიდურად გვაუწყებს: «რაც შეეხება ჟორდანიას შაიკის ცილისწამებას—მე მას არ ვაძლევ სერიოზულ მნიშვნელობას»-ო. მარა «თუ საზოგადოებრივ აზრს მართლა სურს ამ საკითხში გაერკვეს აიძულოს «ბრ. ხმა», რომ მან თავის ცილისწამება კონკრეტიულ ფორმაში გამოხატოს და მაშინ მე ვალდებულად გავხდი თავისთავს ისინი სასამართლოში მივცეო»..

რატომ ასე ეფარება ბ. ქარუმიძე «საზოგადოებრივ აზრს»? თუ რამე კონკრეტიული ფორმა აკლდა ყოველივე იმას რაც ჩვენ მის შესახებ დავსწერეთ და გამოვაქვეყნეთ—რატომ დღემდის არ მოითხოვა თვითონ და რატომ დღესაც სალირაშვილს და სხვებს ეფარება?! თუ ჩვენ მართლა ცილი დავსწამეთ—მისი ხმალი და ჩვენი კისერი! სასამართლოც პარიზშია და ჩვენც.

ასე რომ სიტყვა ჩვენზე კი არა—მასზეა ბატონო «კავკაზ»-ელებო!

რაც შეეხება თვით ქარუმიძის სამართალში მიცემას მის მიერ «ჩერვონცების» გამო გავრცელებულ ცილისწამების შესახებ—ჩვენ მას ჯერ კიდევ დეკემბერში საჯაროთ მივეცით წინადადება, რომ რადგან ნ. რამიშვილი მკვდარია, ხოლო მეორე პირად კი ის ასახელებს ვიღაც «ელჩს»—გამოექვეყნებია ამ «ელჩი»-ს სახელი და გვარი და მით შეექმნა შესაძლებლობა მისი (ქარუმიძის) სამართალში მიცემის. ამის შემდეგ მეექვსე თვე გადის და დღემდის არ დაუსახელებია. ცხადია არაფერი აქვს სათქმელი. მოჭორა ჩვეულებრივად და მოჭორა განსაზღვრული და გარკვეული მიზნით და როცა ამის გამო ჩვენ კუდზე ფეხი დავადგით—გაჩუმება არჩია და ახლა თავს იქცევს «სახელმწიფო სასამართლოს იურიდიკციაზე» მასლაათით. ან კი რა ქნას! მას ნიღაბი ისე მაგრად ჩამოხდილი აქვს რომ რამდენიც არ უნდა ეცადოს მისი «შაიკა», მისი პოლიტიკური სახის სიდუხჭირეს ოდნავადაც ველარ დაფარავს...

ჟრ. ჟრ.

◆

პატარა განცხადება

«კავკაზი»-ს უკანასკნელ ნომერში (№ 4) დაბეჭდილია შ. ამირეჯიბის წერილი «მარქსიზმი და ნაც. პოლიტიკა», რომლის მეორე ნახევარი, ალსავსე სიცრუით და სიყალბით, ერთავად ჩემს წინააღმდეგ არის მომართული პირადად. ამ უტიფარი წერილის პასუხს მე გადაუგზავნი თვით «კავკაზი»-ს რედაქციას დასაბეჭდათ, თანახმად საფრანგეთის კანონისა.

◆

პარიზის ქართული კოლონია

13 წელზე მეტია, რაც პარიზის ქართული კოლონია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მას არა ერთხელ გაუწევია თვალსაჩინო სამსახური ჩვენი ქვეყნისათვის, მისი ინტერესებისათვის. არა ერთს და ორს ემიგრანტს დახმარებია ის და გასაჭირიდან უხსნია. მარტო ის ფაქტი, რომ ის აერთიანებდა და აკავშირებდა ყველა ქართველ ემიგრანტს, განურჩევლად რწმენისა და შეხედულებისა—უდიდესი მისი დამსახურება იყო. არც ერთი ერის ემიგრაციას არ ჰქონია ასეთი გამაერთიანებელი ორგანიზაცია და ამით ჩვენი კოლონია დიდათ განირჩევა სხვებისაგან. ყოველივე ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კოლონიის წიაღიდან განდევნილი იყო ყოველგვარი პარტიული პოლიტიკა, არც წესდება იძლეოდა ამის უფლებას და არც კოლონიის ხელმძღვანელობა უშვებდა ისეთ რამეს, რომელსაც შეეძლო კოლონიის შემადგენელ ნაწილების ურთიერთობის გაღიზიანება - გამწვავება. თვით ხელმძღვანელობის არჩევა ხდებოდა წინასწარ შეთანხმებით და მის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებდა ყველა პოლიტიკური პარტიები. ერთი სიტყვით კოლონია არსებობდა და მოღვაწეობდა მოთანხმების და მორიგების ფარგლებში და ატმოსფერაში. ასე იყო სულ ამ ბოლო დრომდე, როცა გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. გ. ყურული. ბ. ყურული განაგრძობდა ძველ ტრადიციას, მარა, სამწუხაროთ, ავადმყოფობის გამო, ის ხშირად ვერ ესწრებოდა კრებებს და ბოლოს სულ გაანება თავი. მისი ადგილი დაიჭირა მისმა მოადგილემ. ეს გამგეობა კი სწორედ რომ საბედისწერო გამოდგა კოლონიისათვის. კოლონიის ცხოვრება და საქმიანობა რადიკალურად შეიცვალა და ამ ცვლილებით დავზარალდით მხოლოდ ჩვენ, სოციალდემოკრატები. გამგეობაში აღარ დაგვრჩა არც ერთი წარმომადგენელი, რომ მისი საშვალებით შევძლებოდა გავლენის მოხდენა კოლონიის ძველ ტრადიციებზე შესაჩერებლად. მართალია გამგეობაში იყო ორი ჩვენი წარმომადგენელი. ერთი თავმჯდომარეს მოადგილეთ და მეორე მდივნად, მარა ორივე ჩვენს წინააღმდეგ დაჯგუფებაში აღმოჩნდენ და მიუხედავად იმისა, რომ ისინი საერთო პარტიული ორგანიზაციის კანდიტატები იყვნენ—იმდენი პოლიტიკური რიგიანობა ვერ გამოიჩინეს რომ ჩვენი მანდატები დაებრუნებიათ. ასე და ამ რიგად კოლონიის ხელმძღვანელობა ხელში ჩაუვარდა ჩვენდამი მტრულად განწყობილ დაჯგუფებათა წარმომადგენლებს და ის კიდევაც სავსებით გამოყენებულ იქმნა ჩვენდა საწინააღმდეგოთ და ჩვენი მოპირდაპირე ძალების დასარაზმავად.

ნაცვლად კოლონიის პირდაპირი მოვალეობისა—გაჩაღდა პარტიულ-პირადული ბრძოლა; საქმიანობისა და წინდახედულობის ადგილი სირეგვნე-დილეტანტობამ დაიჭირა; საზოგადო კრებები ძველი ანგარიშების გასასწორებელ ასპარეზად იქცა, სადაც დაუზოგველად ანთხევდენ წლობით დაგროვილ ბალღამს. კოლონია სავსებით ამოვარდა თავის წესდების ბუდიდან და აქეთ-იქით ეხეთქებოდა. აშკარა გახდა რომ ის დაშლისაკენ გაჩქარებით მიექანებოდა. დაინტერესებულნი, თუმცა სუსტი, მარა მაინც მთლიანობის დაცვა-შენახვაში—ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ რომ კოლონია თავის ტრადიციული საქმიანობის ფარგლებში ჩაგვებრუნებია. არა ერთხელ და ორხელ, სიტყვიერათ და წერილობით მოვითხოვეთ რომ კოლონიის კრებებიდან პარტიული ანგარიშების გასწორებისათვის ბრძოლა აღკვეთილიყო, მარა კოლონიის ურა-უმრავლესობას გაგონებაც კი არ სურდა ამაების შესახებ.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, არჩეულ იქნა ახალი გამგეობა, ბ. დ. სხირტლაძის თავმჯდომარეობით. ბ. სხირტლაძის კანდიდატურას ჩვენ მხარი დაუჭირეთ იმ იმედით, რომ იქნებოდა გადადგმული სასწრაფო ნაბიჯები კოლონიის საქმიანობის მისი წესდების ფარგლებში ჩასაყენებლად. მაგრამ, სამწუხაროთ, ახალი გამგეობა უმალვე წააწყდა ისეთ დაბრკოლებებს, რომ თავმჯდომარე იძულებული იქნა თავმჯდომარეობაზედაც კი უარი გაეცხადებია. ავარდნილი დამრღვევი ტალღა ინერციით წავიდა და კოლონიის მთლიანობაც შთანთქა.

უკანასკნელი კონკრეტიული საბაბი კოლონიის დაშლისა გახდა ის უბედური საოფისო საბჭო, რომელიც ერთ-ერთ კრებაზე დღიურ წესრიგის გარეშე წამოაყენა რ. არსენიძემ. რადგანაც ეს საკითხი იყო სრულიად ახალი და არც დღის წესრიგში იდგა—კრებამ მიიღო ამხ. გრ. ურატაძის წინადადება, რომელიც ავალებდა გამგეობას კომისიასთან ერთად ამ საკითხის შესწავლას და სათანადო მოხსენების წარმოდგენას. და აი ნაცვლად შესწავლისა და მოხსენებისა—დაიწყო გაუთავებელი თათბირი პარტიებთან და ჯგუფებთან საერთო დადგენილების მისაღებად და როცა ეს არ მოხერხდა კრებას წარუდგინეს რეზოლიუცია, რომელიც ამ უცნაურ საბჭოს აცხადებდა ოფისის ბატონ-პატრონად, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო ბევრისათვის, მარა კენჭის ყრით მან მიიღო რამდენიმე ხმით უმეტესობა. ასეთი დადგენილება არ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა კანონიერად, რადგან კოლონიის კრებებზე მონაწილეობას იღებდენ არა წევრები, არამედ ყველა ვინც მოისურვებდა, მათ შორის არაქართველი მოქალაქენიც. ეს იყო არა კოლონიის წევრთა კრება, არამედ, უფრო მალე, ქართველ ლტოლვილთა მიტინგი და რომ მიტინგის დადგენილება ვისმესთვის სავალდებულო გახდეს—ის უნდა იყოს ერთხმად მიღებული. ერთხმად მიღება კი შეიძლებოდა შეთანხმებით. და აი ჩვენც მოვითხოვდით შეთანხმებით არჩევნებს, რითაც გვინდოდა მისთვის მიგვეცა ყველასათვის სავალდებულო ხასიათი. იწყება ისევ თავიდან მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ. მარა ეს შეთანხმება არ მოხდა და არ მოხდა არა ჩვენის მიზეზით. უკანასკნელ კრებაზე თავმჯდომარე ბ. სხირტლაძემ აუწყა კრებას რომ შეთანხმება არ მოხდა, ხოლო შეთანხმების გარეშე არჩევა კი უკანონო იქნება, რადგან წესდება არ გვაძლევს ამის უფლებასო, ამიტომ სანამ წესდების სათანადო მუხლი შეიცვლებოდეს—საბჭოს მოვალეობა დროებით დაეკისროს კოლონიის თავმჯდომარეს და მის საპატიო თავმჯდომარეს, ყოფილ ელჩს ბ. აკ. ჩხენკელს, რომლებიც მოიწვევენ სათანამშრომლოდ საერთაშორისო უფლების კარგათ მცოდნე პირსო.

შექმნილ მდგომარეობიდან ამაზე უკეთესი გამოსავალი არც ფორმალურად და არც მიზანშეწონილობის მიხედვით არ შეიძლებოდა. მარა ურა-უმრავლესობას ხომ საქმე არ აინტერესებდა და მოითხოვა ამავე კრებაზე არჩევნების მოხდენა. კენჭი ეყარა თავმჯდომარის წინადადებას, რომელიც შემდეგ ჩვენ შევიტანეთ ჩვენი სახელით და მეორეს—მომხდარიყო არჩევნები დაუყონებლივ. გავიდა ორიოდე ხმის უმეტესობით ეს უკანასკნელი. ჩვენ არას ვამბობთ იმის შესახებ თუ როგორ შეიქნა ეს ზედმეტი ორიოდე ხმა და რამდენათ ჩასათვალი იყო ეს. იმ ხმაურობაში და ისეთ აურზაურში რომ საერთოთ თუ გინდ ასეთი დათვლა მოხერხდა—ესეც დიდი საქმე იყო.

რაკი გადაწყდა, თუ გინდ ასეთი უმნიშვნელო რაოდენობით, იმ დღესვე არჩევნების მოხდენა. ხოლო ასეთ არჩევნებს თავმჯდომარესთან ერთად სრულიად უკანონოთ ვთვლიდით—ჩვენ უარი განვაცხადეთ არჩევნებში მონაწილეობაზე და ასეთი გზით არჩეულ საბჭოს ცნობაზე. არ მიიღო მონაწილეობა აგრეთვე ს.-ფედერალისტებმა, ნაციონალ-დემოკრატების გაზეთ «საქართველო»-ს ჯგუფმა, უარი განაცხადა და თავის კანდიტატურა მოხსნა აგრეთვე აკ. ჩხენკელმა.

აქ აღსანიშნავია «სოც. აზრი»-ს ჯგუფის პოზიცია. ამ ჯგუფმა დიდი როლი ითამაშა საერთოთ ამ საბჭოს ისტორიაში და სამწუხაროთ, ბოლომდე იმათთან დარჩა ვინც ამ საკითხში ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა. მან ხმა მისცა აგრეთვე რომ არჩევნები იმ დღესვე მომხდარიყო. როცა ჩვენ კენჭის ყრაში მონაწილეობაზე უარი განვაცხადეთ და კრება დავსტოვეთ ისინი დარჩნენ, თუმცა თავის კანდიტატი არ წამოუყენებიათ და ხმის მიცემიდანაც თავი შეიკავეს.

დარჩენილებმა ჩვენი წამოსვლა იხარეს და ისეთ ექსტაზში მოვიდნენ, რომ ეროვნული ჰიმნიც კი იმღერეს და როცა ასეთი თავისი «პატრიოტული» აღტყინებით გული იჯერეს შეუდგენ არჩევნებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ კანდიტატებმა მიიღეს არა უმეტეს 56-88 ხმისა, რაც ბევრად ნაკლებია დამსწრეთა ნახევარზე—ისინი მაინც არჩეულად სთვლიან თავისთავს და ისეთ პოლ. სიბეცეს იჩენენ, რომ გონიათ ვინმეს შეცდომაში შეიყვანენ, ან და ვინმე ნებას მისცემს მათ მთელი კოლონიის სახელით გამოვიდენ.

აირჩიეს რვა წევრი. ამათში ოთხი აქ არსებული სათავად-აზნაურო საკრებულოს წევრი თავ. ალ. ამილახვარის მეთაურობით. სამი მათი ამყოლ-დამყოლი და ერთიც რაღაც გაუგებრობით არჩეული (ბ. გაბაშვილი). ასე რომ სათავად-აზნაურო საკრებულოს შეუძლია ბანკეტი გამართოს რომელზედაც საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს «თეთრ გიორგი»-ს და კედია-ცხაკაიას ამალას, რომლებიც ასე ტყავიდან ძვრებოდენ ამ არქაიული საკრებულოს წევრების გასამარჯვებლად.

ფრიად სამწუხაროა, რომ ასე დაარღვიეს ის კოლონია, რომელიც ჩვენი პარტიის ინიციატივით და მონაწილეობით იქნა დაარსებული ამ 13 წლის წინათ ყველა პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმებით...

დამსწრე.

◆

პატარა ფელეტონი

(ბ. ალ. ასათიანის მოხსენების გამო)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ყვავი, ძლიერ თავმომწონე და მედიდური. განსაკუთრებით არ უყვარდა ფრინველთა შორის ფარშავანგები და მთელ საყვავოს მათ წინააღმდეგ ამხედრებდა. გამოჩნდენ სხვა ყვავებიც და მოინდომეს ამ დიდი საქმის მეთაურობა. გაჩაღდა შინაური ბრძოლა, ერთიმეორის გაძევება და დევნა. დაიყო ყვავთა სამეფო და ერთ გუნდს სათავეში ჩაუდგა ჩვენი თავმომწონე ყვავიც. ამ დროს მას თავში მოუვიდა გენიოსური აზრი, ყვაობა რა ჩემი საკადრისია, მე ფარშავანგი უნდა გავხდეო. ითქვა და იქნა. იშოვა ფარშავანგის ფრთები, გაირჭო აქეთ-იქით, შეიღება სახეც და მიფრინდა ფარშავანგებში. აქ პირველათ ვერც კი შეამჩნიეს თვალთმაქცობა, კიდევაც გაუხარდათ ახალი მოძმე შეგვეძინაო. მხოლოდ მისი საქციელი უკვირდათ, როგორც კი ფარშავანგები საბრძოლველათ გავიდოდენ, ის ფეხს ითრევდა, უკან უკან მიიპარებოდა და რამდენიმეჯერ მტრის ბანაკშიაც კი დაინახეს. ერთ დღეს მისცვინდენ მას, ვინ ხარ შენო და ამ შეხლაში აკი ჩამოუცვინდა გარჭობილი ფრთები და გამოჩნდა შავი ყვავი. ჰკრეს ნისკარტი და გააგდეს. ისიც გადაფრინდა ყვავების ბანაკში, მაგრამ აქ შეუძახეს, შენ რომ სანდო იყო ჩვენ არ დაგვტოვებდიო და გამოუძახეს იქიდანაც. მას გამოყვა ორიოდე მეგობარი და მოიკალათეს შუაზე, ფარშავანგებს და ყვავებს შორის; ხან აქეთ, ხან იქით. აქეთ თვალი, იქით თვალი და გახდენ ნეიტრალი. დადის ჩვენი თავმომწონე ყვავი და თავს ინუგეშებს აკაკის სიტყვებით:

«აქეთაც ვარ, იქითაც ვარ,
მიყვარს შუა მე ტრიალი,
მაგრამ არსად კი არა ვარ,
ჩემთვის ვარ... ნეიტრალი.
მადლობა ღმერთს რომ სხვებსავით
არ მებნევა გზა და კვალი,
გადავდივარ, გადმოვდივარ,
ისე როგორც ნეიტრალი.
მე არა მსურს, ჩემზე ვინმე
რომ გარისხდეს, იყოს მწყრალი!
იაც მომწონს, ვარდიც მიყვარს
რადგანაც ვარ ნეიტრალი» და სხ.

მსმენელი.

◆

ანგარიში

ამხ. ჟღენტი ცეცხლაძის დასაკრძალავ ხარჯების დასაფარავათ გაიღეს:

სოშოდან: სოშოს ასოციაცია 50 ფრ., შიო ქურიძე 50 ფრ., ნიკო ორაგველიძე 25 ფრ., ლ. ჩარკვიანი 20 ფრ., ვ. ჩხიკვიშვილი 20 ფრ.; ათ-ათი ფრანკი: კვიროსი ჟღენტი; ვ. ბაქრაძე, მ. ნადაშვილი, ზ. წულაძე, მ. ბურძგლა, გ. წივწივაძე, ა. კვირკველია, ბ. თავბერიძე, მ. ბარამიძე, მ. ჯინჭარაძე, ს. მათითაშვილი, მ. ბახტაძე, ა. მელიავა, გ. ტოგონიძე, გ. ბერძენიშვილი, გ. ბერბიჭაშვილი, ვ. გაჩეჩილაძე, სტ. კასრაძე, ზ. აბაშიძე, ს. მურმანიძე, ი. შავდია; ხუთ-ხუთი ფრანკი: დ. კვიღელიძე, ს. ჩიკვილაძე, მ. ჩუბინიძე, მ. ჟღენტი, ნ. თაყაიშვილი, გ. ქვარცხავა, ლ. კაკულია, შ. გელაშვილი, შ. ზედგინიძე. სულ 420 ფრ.

ოფისში შეგროვილი: ჭიჭიკო ასათიანი 20 ფრ., ვ. ტულუში 20 ფრ., ი. გოგოლაშვილი 15 ფრ.; ათ ათი ფრანკი: ხ. შავიშვილი, ვ. ჩუბინიძე, ალ. ასათიანი, კ. ქავთარაძე, ლ. პატარიძე, ს. მენაღარი, დ. ხელაძე, დ. ფერაძე, ს. სულხანიშვილი; ა. დადიანი 5 ფრანკი. სულ 150 ფრანკი.

დ. ბუაჩიძის მიერ შეგროვილი: დ. ბუაჩიძე 50 ფრ., ს. გოგიბერიძე 50 ფრ.; 25-25 ფრ.: აკ. ვადაჭკორია, მ. მელუა, შ. ჯაველიძე, გრ. ცინცაძე, ს. ბლიაძე, აკ. მეფარიშვილი, ქრ. იმნაიშვილი, პრ. ინწკირველი; 20-20 ფრ.: მ. მგელაძე, გ. ბოლქვაძე, პ. სარჯველაძე; 10-10 ფრან.: ვ. ლაბაძე, ის. მანწკავა, ვ. ახვლედიანი. სულ 390 ფრანკი.

ა. კვიტაიშვილის მიერ შეგროვილი: დ. ყორყოლიანი 300 ფრ., ნ. ცინცაძე 150 ფრ.; 50-50 ფრანკი: გ. ჭელიძე, ნ. ჯაყელი, შ. ბერიშვილი, შ. აბდუშელი, ვ. წულაძე; გ. ჭირაქაძე, 25 ფრ., დ. ლომთათიძე 25 ფ.; 20-20 ფრანკი: ტატიშვილი, ნ. ბარამიძე, ვ. ინწკირველი, ზ. ჯიშკარიანი; კ. ჩხაიძე 15 ფრან., ბ. წულაძე 15 ფრ.; 10-10 ფრან.: კ. ქურციკიძე, ვ. მონიავა, ს. მონიავა, ყ. ჩაჩუა; დ. სამნიაძე 5 ფრ. სულ 905 ფრ.

რუბენ ყიფიანისაგან: შემოწირულება 100 ფრან. და ამას გარდა ვალის დასაფარავათ, რომელიც მას განსვენებულის ემართა 290 ფრანკი. სულ 390 ფრ.

საქ. მთავრობიდან: დახმარება 200 ფრანკი.

მთელი შემოსავალი უდრის 2.455 ფრანკს.

გასავალი

ხარჯები გაწეული:

1) ი. გოგოლაშვილის მიერ 1.627 ფრ. 75 სან.
2) ა. კვიტაიშვილის მიერ 95 ფრ.

სულ 1.722 ფრ. 75 სან.

ამრიგად დარჩა საფლავის მოსაწყობათ 732 ფრანკი და 25 სანტიმი.

კომისია.

◆

განცხადება.

საგაზეთო წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს პარიზში შემდეგი მისამართით:

C. Gvardjaladzé
26, rue Lacretelle. Paris XV.

ფართო ჰორიზონტი გაეშალათ, შეესწავლათ მიზეზი ასეთი საშინელი დეპრესიისა და შესაფერი ზომები მიეღოთ, მათი პოლიტიკა იყო მიმართული მოხელეების ჯამაგირების მომატებისაკენ. მუშათა კლასმაც ვერ გამოიჩინა ის ინიციატივა და ენერგია, რომელიც მას ომამდის ახასიათებდა, რადგან ის იყო დასუსტებული ბოლშევიზმით და თვით სოციალისტურ პარტიების შიგნით აღმოცენებულ უთანხმოებით.

20. რა ახასიათებს დღევანდელ მდგომარეობას? არის ეს უბრალო ციკლიური კრიზისი, თუ თვით არსებულ რეჟიმის კრიზისია? მართალია, დაწყებისას ამ კრიზისს ქონდა ციკლიური ხასიათი, მაგრამ ჰეგელის თქმისა არ იყოს, რიცხვი გადაიქცა ხარისხათ. რა ახასიათებდა კაპიტალისტურ რეჟიმს? კერძო საკუთრება საწარმოო იარაღზე, რომლიდანაც გამომდინარეობს თავისუფალი მოქმედება, თავისუფალი ბაზარის და ამ თავისუფალ ბაზარზე საქონლის ფასების თავისუფლად დაწესება. აი ეს სამი ძირითადი მომენტი ახასიათებდა კაპიტალისტურ წესწყობილებას. ახლა შევხედოთ, თუ რამდენათ ეს პრინციპები შეუცვლელათ რჩება დღევანდელ პირობებში. კერძო საკუთრება საწარმოო იარაღზე სახელმწიფო ძალაუფლების მიერ ფრიად შეზღუდულია. თავისუფალ მოქმედებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იქ, სადაც სახელმწიფო ძალდატანებით აკავშირებს მწარმოებლებს კორპორაციების და პროფესიების მიხედვით და სადაც თავისუფალ—აღებმიცემაზე კონტინგენტების და კლერინგების გამო ლაპარაკიც კი მეტია. რაც შეეხება თავისუფლათ ბაზრებზე ფასის შექმნას, ეს სისტემაც დარღვეულია ზემოხსენებული მიზეზების გამო. მაშასადამე, კლასიკურ-ლიბერალურ კაპიტალიზმზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ამ მხრივ, თუ სრულიად რეჟიმის კრიზისი არ არის, მისი უტყუარი ნიშნები მაინც არსებობს.

21. დღევანდელ ისტორიულ პროცესს ახასიათებს ეტატიზმი. იქნება ეს ძალდატანებით—ექსპროპრიაციით და ნაციონალიზაციით, როგორც რუსეთში, თუ თანდათანობით სახელმწიფოს ფისკალურ და ეკონომიურ პოლიტიკით, პროცესი იგივეა.

22. ყველაზე ცუდი და მახინჯი ეკონომიური საქმიანობა—ეტატიზმია; ეს არის გაბატონება არა მწარმოებელთა ჯგუფების, პარაზიტული ელემენტების მწარმოებელ ელემენტებზე. ეტატიზმი შეიცავს ყველა უარყოფითი მხარეს კაპიტალიზმისას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ კაპიტალიზმი არ უარყოფდა პოლიტიკურ თავისუფლებებს. ეტატიზმი ეკონომიკაში ნიშნავს დიქტატურას პოლიტიკაში, როგორც პირველი, ისე მეორე მისაღები არ არის საზოგადოების მშრომელი ნაწილისათვის.

უკანასკნელი ათი წელი ტეხნიკის განვითარების მიერ გამოწვეული ეკონომიური პროგრესი უმნიშვნელოთ და უნაყოფოთ დარჩა მშრომელი ხალხისათვის, რადგან ის ეკონომია, რომელიც ამას მოყვა, ჩაყლაპა ეტატიზმმა, ბიუროკრატიამ, მოხელეებმა, ხოლო მშრომელ ხალხს კი არაფერი ერგო.

23. კაპიტალიზმა შექმნა მსოფლიო ბაზარი, მაქსიმალურათ განავითარა საწარმოო ძალები, ურიცხვი ძაფებით შეაერთა ერთიმეორეს დაშორებული ქვეყნები და ერები, და შექმნა მსოფლიო მეურნეობა. მაგრამ მისი სუსტი მხარეები გამოიხატებოდა არათანასწორ განაწილებაში მწარმოებელთა ძალებისა მთელ მსოფლიოში, და არასამართლიან განაწილებაში ეკონომიურ საქმიანობის ნაყოფისა თვით საზოგადოებაში. კაპიტალიზმა გააღრმავა ანტაგონიზმი ინდუსტრიალურ და არა ინდუსტრიალურ ქვეყნებს შორის, ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა მსოფლიოს ქარხანათ გადაიქცა, ხოლო მთელი აზია და დანარჩენი ქვეყნები მხოლოთ ნედლი მასალის მიმწოდებლებათ დარჩენ.

24. პრობლემა მომავალი ეკონომიურ ვითარებისა არის საწარმოო ძალების უფრო თანასწორი განაწილება მსოფლიოში, ესე იგი ინდუსტრიალიზაცია ჩამორჩენილი ქვეყნების, მათი ეროვნული მეურნეობის მაქსიმალური განვითარება. ამ გზას დაადგენ რუსეთი, იაპონია, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა პატარა ქვეყნებიც. ამ დიფერენციაციას მოყვება ნამდვილი ინტეგრაცია, სამართლიანი და თანასწორი მსოფლიო მეურნეობის შექმნა.

25. უმთავრესი მიზანია მწარმოებელთა განთავისუფლება პარაზიტულ ელემენტებიდან და უფრო სამართლიანი განაწილება დაგროვილი სიმდიდრის. ეს არის ამოცანა სოციალიზმის.

26. ამ მიზნების მიღწევას ხელს უშლის ეტატიზმის განვითარება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა შეადგენს მოვალეობას იმ პარტიებისა, რომელნიც მიზნად ისახავენ საზოგადოების მშრომელ ნაწილის ინტერესების დაცვას.

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.